პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 18 (20859) — შაბათი, 21 იანვარი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი, პროგრესული კაცობრიობა პატივს მიაგებენ დიდი ლენინის ნათელ ხსოვნას

ისტორიაში არ არსებობს სხვა ადამიანი, რომელსაც ამდენი ამაგი დაედოს რევოლუციის პრაქტიკული და თეორიული საქმისათვის, პიროვნული თავისუფლების, აზრისა და სამართლიანობის პრინციპების საბოლოო გამარჯვებისათვის.

ახლა, როდესაც განვლილ გზას ვაჯამებთ და ნოვატორულ იდეებს ვსახავთ, ჩვენ ისევ და ისევ მივმართავთ უკვდავ ლენინურ მემკვიდრეობას.

უჩვეულოდ დინამიურია ჩვენი რთული, შფოთიანი, ნიადაგ ცვალებადი მსოფლიო. ჩქარდება საზოგადოებრივი პროგრესის ტემპი.

ყოველი ახალი დღე დამაჯერებლად ადასტურებს, ისტორია, თვით დრო, თავიანთ ნაბიჯებს ამოწმებენ ლენინის მიხედვით და როდესაც საქმე ეხება საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლის სიღრმისეულ პროცესებს, პარტია რჩევისათვის მიმართავს ლენინს, მის უკვდავ იდეებს, ფართო მასების ძალღონეს წარმართავს მოშწიფებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, შემოქმედებითად იყენებს ისტორიულ გამოცდილებას, წარსულის გაკვეთილებს.

გარდაქმნამ ხალხის სულიერი ცხოვრების უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია. ჩვენ ყველანი გარდაქმნით ვცხოვრობთ. იცვლება ატმოსფერო, ცხოვრების რიტმი, განწყობილება, საქმისადმი ადამიანთა დამოკიდებულება. პრინციპული თვალსაზრისით მიღებულია პირველი პასუხი დაჩქარების რეალობის კითხვაზე.

ახლა გვაქვს მოქმედების მკაფიო პროგრამა და ვიცით, როგორ შევასრულოთ იგი.

პარტია ცდილობს უკეთესობისაკენ შემოაბრუნოს საქმის ვითარება ეკონომიკაში. მიღებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი პოლიტიკური სისტემის ცხოვრების საწარმოო, სოციალური და სხვა სფეროების გარდაქმნის თაობაზე. გაბედული, ნოვატორული მიდგომა მკვიდრდება საერთაშორისო პოლიტიკაშიც. და რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო ღრმად შევიცნობთ ლენინური იდეების წამყვან ძალას.

ძველიდან ახალზე გადასვლა, პოლიტიკაში შემობრუნება ლენინს ყველაზე რთულ ამოცანად მიაჩნდა. იგი მოგვაგონებდა, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრი გადასვლებისა და ცვლილებების დროს ყველაზე ძნელი ამოცანა არის ყოველგვარი გადასვლის თავისებურების გათვალისწინების ამოცანა, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საჭირო ხდება მთელი ჩვენი ქვეყნის სხვა რელსებზე გადაყვანა, მთელი მექანიზმის გარდაქმნა“.

გარდაქმნა ერთადერთი სწორი არჩევანია, აპრილისშემდგომი გამოცდილება ცხადყოფს: ზოზინის დრო არა გვაქვს, გარდაქმნა უნდა ხორციელდებოდეს სწრაფად, ჩქარი ტემპით, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, — წიგნიერად. ჭკვიანურად. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა დროის ფაქტორის მნიშვნელობას, როცა ქვეყნის ცხოვრებაში გარდატეხის საკითხი წყდებოდა: „მოვიგოთ დრო, ნიშნავს მოვიგოთ ყველაფერი“.

ახლა, განსაკუთრებით საჭიროა ახალი იდეებისა და წინადადებების განუწყვეტელი ნაკადი, აქტიური მოქმედება მათი რეალიზაციისათვის, ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ტრადიცია, და პარტიას აქვს კომუნისტების მრავალმხრივი გამოცდილებისა და კოლექტიური გონების, მათთვის დამახასიათებელი სიახლის გრძნობის იმედი, იგი ეყრდნობა ყველა ჩვენი საქმისადმი იმ პრინციპული მიდგომის ყოველმხრივ გამოყენებასა და განვითარებას, რომელსაც ვ. ი. ლენინი უწოდებდა „მარქსისტული რეალიზმის რევოლუციურ დიალექტიკას“.

განახლების რთული და ღრმა პროცესების ცენტრში დგება ადამიანი, მისი შეგნების, მისი ფსიქოლოგიის, მისი აზროვნების გარდაუქმნელად შეუძლებელია ყველა სხვა ცვლილება, ამოცანა ის არის, რომ გასაჭანი მივცეთ მის ენერგიას, გამოცდილებას, ახლებურად მუშაობის სურვილს.

„ჩვენს პრობლემებს არავინ გადაგვიჭრის, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ მიმართვაში, მნიშვნელოვანია გავიგოთ: ყველა ვინც გარდაქმნისათვის მუშაობს, თავისთვის, თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის მუშაობს... ერთსულოვანი გარჯით შეგძლებთ ყველა სიძნელის გადალახვას და დასახულის მიღწევას. საამისოდ ყველაფერი გვაქვს“.

თვალსაჩინოვით გავუფრთხილდეთ პარტიის ღირსებას, მისი ირგების სიწმინდეს, პარტიელის პატიოსნებ და უმწიკვლო სახელს, — ეს გვიანდერძა ლენინმა, ამისათვის მოგვიწოდებს პარტია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲓᲐᲜᲘ. 1989 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

მუდამ მივმართავთ ლენინს

ჩვენ არაჩვეულებრივად მდიდრები ვართ, და ჩვენს სიმდიდრეს ბევრი რამ შეადგენს. ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის უდავო მონაპოვარი, ეს არის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ურყევი ლენინური კავშირი, ეს არის ხალხებისა და რესპუბლიკების ურღვევი ინტერნაციონალური ძმობა.

ეროვნული და ინტერნაციონალური საკითხების ლენინური პრინციპებით გადაწყვეტა, მუდამ დგას მშობლიური კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. ამიტომ დიდ ოჯახად შეკრული საბჭოთა ადამიანებისათვის არ არსებობს „ცერძოდ“ და „გარეშედ“ დაყოფილი რაიმე საქმე ან საზრუნავი.

ამიტომ იქცა მოძმე სომხეთის ტრაგედია თითოეული საბჭოთა მოქალაქის მწუხარებად, ხოლო მიწისძვრებისაგან დანგრეული ქალაქების აღორძინება მათ უპირველეს საზრუნავად.

პირდაპირი და გულახდილი ლაპარაკი ხალხებთან და მთავრობებთან ახალი, სოციალისტური, ლენინური დიპლომატიის განუყოფელი თვისებაა. ეს პოგრამა განახორციელებს ლენინურ პრინციპს, რაც შეიძლება ნაკლები ზოგადი განცხადებები, საზეიმო დაპირებები, მაღალფარდოვანი ფორმულები და რაც შეიძლება მეტი უაღრესად უბრალო, უაღრესად ნათელი გადაწყვეტილებები და ზომები, რომლებიც მართლაც გამოიწვევენ მშვიდობას. ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა ნათელი ღონისძიებანი და გადაწყვეტილებანი, რომლებსაც გავუაზართ მშვიდობისაკენ, ომის საშიშროების სრულ აღმოფხვრამდე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐᲡ.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲓ ᲓᲠᲔᲛᲘᲐᲜᲘ, ᲨᲔᲤᲝᲗᲘᲐᲜᲘ, ᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ. ᲩᲥᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲗᲕᲗᲝ ᲓᲠᲝ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲔᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲡᲔᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲡ. ᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲔᲜ ᲛᲝᲫᲛᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲓᲔᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ: „ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲕᲐᲠ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲙᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲕᲐᲠ, ᲩᲕᲝᲚᲝ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲚᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲫᲙᲕᲐᲚᲐᲕᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲑᲘᲯᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲘᲗ, ᲘᲛ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡ-[illegible] ᲢᲐᲨᲘ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ

ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ საარჩევნო კამპანიის პრაქტიკულად ყოველი დღე წარმოშობს რაიმე ახალს, უჩვეულოს. არჩევნების შესახებ კანონი სახავს დიდ სიერცეს საჯაროობის შემდგომი გაფართოების, დემოკრატიზაციის გაღრმავებისათვის და რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთლიანად იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლება-შესაძლებლობებს.

ამაში ძნელი არ იყო დავრწმუნებულიყავით თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის შრომითი კოლექტივის კრებაზე. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საწარმოს კომუნისტებმა, რომლებმაც გამოიყენეს თავიანთი უფლება შეიტანონ წინადადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის შესაძლო კანდიდატის შესახებ, თავიანთი არჩევანი ხარატ ზურაბ ფირცხალაიშვილზე შეაჩერეს. ეს წინადადება განიხილეს და მოიწონეს პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე. მაგრამ ისე მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან წარმომადგენლობის კანონით განსაზღვრულმა [illegible]მა, საუკეთესოთა შო[illegible]ს [illegible]ოს ძნელმა არჩევან[illegible] არ მისცა მას შეს[illegible]ტაში.

ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნის კომუნისტებმა ეს ფაქტი გაგებით აღიქვეს. მაგრამ კოლექტივს უკან არ დაუხევია, გადაწყვიტა თავის კრებაზე დაესახელინა **ზურაბ გიორგის ძე ფირცხალაიშვილი** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად №161 თბილისის ლენინის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. როგორც ქარხნის პარტიული ორგანიზაციის იმ პირველად კრებაზე, მან ამჯერადაც შრომითი კოლექტივის სრული მხარდაჭერა მოიპოვა.

იხგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივმა კვლავ მიანდო თავისი ინტერესების წარმოდგენა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარჩინებულ მექანიზატორს, სოციალისტური შრომის გმრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **ვალერიან გერმანეს ძე მეუნარგიას.** მაგრამ ამჯერად №664 ზუგდიდის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის ერთი მანდატისათვის მას მოუწევს მეტოქეობა წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის ტრაქტორისტთან **ვახტანგ ვალიკოს ძე ძიძარიასთან.**

ორ-ორი კანდიდატი იბრძოლებს ამომრჩეველთა ხმებისათვის სხვა საარჩევნო ოლქებშიც. №665 ქუთაისის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის აქ წამოყენებული კანდიდატის, რესპუბლიკა — საქართველოს რესპუბლიკის — სამინისტროს საარმიო-გაერთიანების მკერავის **შორენა შალვას ასული) ყანჩაველის** მეტოქე გახდა ქარხანა „ავანგარდის“ მემონტაჟე, ასევე უპარტიო **მაია გივის ასული კაკიტაძე.** ხულოს რაიონის ორ მეთამბაქოეს — კომკავშირელებს სოფელ დიოკნისის მკვიდრს **ნათელა ვლადიმერის ასულ ძირკვაძესა** და სოფელ სტეფანაშვილების კოლმეურნეობის მეთამბაქოეს **უუფუნა მიხეილის ასულ ქათამაძეს** თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმის დაცვა მოუწევთ №500 ხულოს ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველების წინაშე.

დეპუტატის მანდატისათვის უფრო მეტოვე კონკურენციაა მოსალოდნელი №736 ცხინვალის საქალაქო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დასახელებულ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს შორის. პრეტენდენტი აქ ოთხია. ეს არის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ ამომჩრელი **ვიაჩესლავ მალაქიას ძე ბიბილოვი,** №2 საშუალო სკოლის დირექტორი **ტორეზ გიორგის ძე კულუბეგოვი,** საწარმოო გაერთიანება „ალანის“ მკერავი **დინარა ვლადიმერის ასული ქელეხსაევა,** რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს №11 ტრესტის მუშა **სევასტიან ლევანის ძე იკაევი.**

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲛᲘᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 19 იანვარი. (**საკადესის კორ.**). გამოფენაზე „ლენინი. ცხოვრებისა და ბრძოლის ფურცლები“, რომელიც გაიხსნა დღეს სახელმწიფო ისტორიულ ნაკრძალში „გორკი ლენინსკიე“, წარმოდგენილია გამოცემები, რომლებიც ასახავენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი იდეების მნიშვნელობას ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისათვის. მის ექსპოზიციაშია. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობისა და გამომცემლობა „პლაკატის“ მიერ უკანასკნელ ხანს გამოშვებული 250-ზე მეტი ნაწარმოები.

გამოფენის გახსნაზე გამომცემლობა ა წარმომადგენლები შეხვდნენ მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის აქტივს. ასეთი შეხვედრები აქ მუდმივი გახდება. გამოფენის მუშაობის დროს წიგნებისა და გრაფიკული ნამუშევრების ავტორები გამართავენ სტუმრებთან თავისებურ მკითხველთა კონფერენციებს, „მრგვალ მაგიდებს“, განიხილავენ სამომავლო გეგმებს.

ᲡᲘᲙᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲗᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ალექსი მაჭავარიანის ტალანტის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ 19 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის [illegible] დარბაზში გამართულ მის საავტორო კონცერტზე. ოსტატის ჩემოქმედებითი ანგარიში მიეძღვნა წინა დაბადების 75 წლისთავს.

კონცერტის დასაწყისში იუბილარს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სულხან ცინცაძე.

შემდეგ სიტყვა მიეცა მუსიკას. დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ერთმანეთს შეხვდა ორი ხელოვანი — მამა და შვილი — მხცოვანი კომპოზიტორი და ახალგაზრდა დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. ვახტანგი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა, გამოვიდა როგორც თანამედროვე ქართული მუსიკის შესანიშნავი წარმომადგენლის ნანარმოებების საინტერესო ინტერპრეტატორი.

საავტორო საღამოს პროგრამაში შედიოდა ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ კომპოზიტორის მიერ შექმნილი ბალეტის „ოტელოს“ ნაწყვეტები.

ისევე როგორც ყოველი დიდი ხელოვანი, ალექსი მაჭავარიანი მრავალსახოვანი და მრავალმხრივი შემოქმედია. და, რა თქმა უნდა, ერთი საღამოს პროგრამამ ვერ მოიცვა კომპოზიტორის ღრმა შემოქმედების ყველა წახნაგი, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები.

ავტორის წარმატება დამსახურებულად გაიზიარეს შემსრულებლებმაც — დირიჟორმა და საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა. მსმენელებმა, როცა კონცერტის დასასრულს სცენაზე ავიდა კომპოზიტორი, დირიჟორისა და ავტორის ხელისჩამორთმევა აღიქვეს როგორც თაობათა თვალნათლივი, საგრძნობი მემკვიდრეობითობა.

საავტორო კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, პ. პ. ჩხეიძე. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ: ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობამ, მისმა თავისებურებებმა და პრინციპულმა სიახლეებმა განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული მორიგი ბრიფინგის თემა. ბრიფინგს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და გამართვაზე, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდი მოვლენაა, ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. ა. კვარაცხელიამ.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ არჩევნების შესახებ ახალ კანონს, რომელიც ფართო გასაქანს აძლევს დემოკრატიზაციის გაღრმავებას, ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების დამკვიდრებას, მოაქვს ბევრი რამ ახალი, რომელსაც წინათ არ შეეხვედრივართ, ბუნებრივია, რომ ეს ქმნის მრავალ პრობლემასა და სიძნელეს, წარმოშობს რთულ საკითხებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს ოპერატიულად, და ამასთან გამორიცხული უნდა იყოს ზერელობისა და ფორმალიზმის ნებისმიერი გამოვლინება. სხვათა შორის, ახლანდელი არჩევნების შესახებ კანონს, წინა კანონებისაგან განსხვავებით, არა აქვს კომენტარი. მას განმარტავს თვით ცხოვრება, ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე, საჯაროობისა და კარგახსნილობის გაფართოების პირობებში არჩევნების მოწყობის პრაქტიკა.

აღინიშნა შრომელთა მზარდი სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობა, მათი ღრმა დაინტერესება იმით, რომ რესპუბლიკას ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმოადგენდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, გარდაქმნის მგზნებარე ქომაგები. დღეისათვის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე, შრომითმა კოლექტივებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკვე დასახელეს 100-ზე მეტი კაცი. აღსანიშნავია, რომ მრავალ საარჩევნო ოლქში დეპუტატის ერთ მანდატს ჩემპიონობს ორ-ორი, ზოგჯერ კი მეტი კანდიდატიც. მათ შორის, კომუნისტებთან ერთად, წარმოდგენილი არიან უპარტიოები, კომკავშირელები — მუშები და გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საგრძნობლად შეიცვალა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების სისტემაც: გასული წლებისაგან განსხვავებით, ერთიანად და მეტად გაიზარდა მისი ხარჯები. თითოეული საარჩევნო ოლქისათვის გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია არა მარტო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების, არამედ აგრეთვე უშუალოდ საარჩევნო კამპანიაში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებისთვის.

ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს ბ. ვ. ნიკოლსკიმ, ბრიფინგის მონაწილემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ პ. პ. ჩხეიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 20 იანვარი. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). მთავრდება ალექსანდრე ვოლკოვის, სერგი კრიკალიოვისა და ვალერი პოლიაკოვის კოსმოსური ვახტის მორიგი კვირა.

განვლილ დღეებში ეკიპაჟის მუშაობის პროგრამაში შედიოდა ორბიტული კომპლექსის სისტემების რეგლამენტურ-პროფილაქტიკური მომსახურება, „პროგრეს-39“ ხომალდის განტვირთვა, ასტროფიზიკური და სამედიცინო გამოკვლევები.

„რენტგენ“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მოეწყო მეძებარი ძაღლების თანავარსკვლავედში აქტიური გალაქტიკის ბირთვის დაკვირვების მორიგი სეანსები.

ფრენა დასახული პროგრამით მიმდინარეობს.

კოსმონავტები ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ᲒᲘᲚᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1989 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სამმხმარებლო საზოგადოებათა კავშირის (ცეკავშირი) საბჭოს კრება, რომელმაც ორგანიზაციული საკითხი განიხილა.

კრებამ გაათავისუფლა კ. ნ. შალიმეიანი რესპუბლიკის სამმხმარებლო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს რ. ხ. კონცელიძე.

• • •

რესან ხასანის ძე კონცელიძე დაიბადა 1938 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1961 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1959 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი. 1961 წელს აირჩიეს კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. შემდეგ გადაიყვან

ეუფლებიან მექანიზატორის პროფესიას

● **დაარსებიდან** 26 წლის მანძილზე 6 ათასამდე კვალიფიციური მექანიზატორი მისცა სოფლის მეურნეობას ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის საშუალო პროფტექნიკურმა სასწავლებელმა. მას 80 ჰექტარი სასწავლო მეურნეობა აქვს. აქ შესაძლებლობა აქვს ' ახალგაზრდას უფროსი მეგობრების, დამრიგებლების, ოსტატ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაეუფლოს ხალხეკის ტექნიკას და შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

● **სურათებზე:** ხობის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ინჟინერი ჯანაკა ჭაკუა სასწავლებლის მოსწავლეებს უხსნის ზამთრის პირობებში ძროვის მუშაობის თავისებურებებს; მომავალი ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე, მეორე კურსის წარჩინებული მოსწავლე მარიამ ტურავა.

ბორის ბაბაუნის ფოტო.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 19 იანვარი. **(საკ-ფახის კორ).** მუშაობა დაამთავრა საკავშირო პროფსაბჭოს მე-4 პლენუმმა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 18-19 იანვარს. მთავარი დღის წესრიგი გახდა პროფკავშირებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების კანდიდატთა დასახელება, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში 100 მანდატით იქნებიან წარმოდგენილი. პლენუმის მონაწილეებმა პრინციპულად და ყოველმხრივ განიხილეს თითოეული კანდიდატურა. ღია კენჭისყრის შედეგად დასახელებულია ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციათა 114 წარმომადგენელი. სახალხო დეპუტატების არჩევნები უნდა გაიმართოს 22 [illegible] საკავშირო პროფსაბჭოს [illegible] პლენუმზე.

პლენუმმა მიიღო პ[illegible] ფკავშირების წინასაარჩევნო [illegible] ატფორმა, რომელშიც ჩამოყ[illegible]ბებულია მათი პოზიცია და [illegible] ქმედების პროგრამა გარდაქმნ[illegible] ახლანდელ ეტაპზე, მათი მონაწილეობის გააქტიურება სოციალურ პრობლემათა [illegible] დაჭრაში.

[illegible] ცდა სსრ კავშირის პრო[illegible] ლი კავშირების 1989 წლის [illegible] ტა და სახელმწიფოს სო[illegible]ური დაზღვევის ბიუჯეტის პროექტები. განიხილეს საკავშირო პროფსაბჭოს წევრის სტატუსი, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები. მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ

იძიებ ძალიან გაუკვირდეს კიდეც ზოგიერთს ამ წერილის სათაური, მაგრამ ჭიათურის მანგანუმის უნიკალური საბადო, ოდესლაც თავისი ხარისხითა და მარაგით ბადალი არ მოეპოვებოდა მსოფლიოში, ჭიათურისა და მისი ახლომდებარე რაიონებისათვის მართლაც მარტო წიაღისეული როდია. 1879 წლამდე, როდესაც ჭიათურიდან, უფრო სწორად, მღვიმევის ზეგნიდან, გაიტანეს მანგანუმის მადნის პირველი ფუთები, ჭიათურა არ იყო დასახლებული. სწორედ აქედან დაიწყო მისი განაშენიანება. ჭიათურელთან და საჩხერელთან ერთად აქ სამუშაოდ მოვიდა ზესტაფონის, ხარაგოულის (ორჯონიკიძის) და სხვა ახლო რაიონების გლეხობა, შრომის აუტანელი პირობების მიუხედავად.

მრეწველობის განვითარებას, მართალია, ძალზე ნელა და მცირე, მაგრამ მაინც დადებითი შედეგი მოჰყვა. ამასთან მოსახლეობას გაუჩნდა დამატებითი შემოსავალი, შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის პირველი კერები, 1903 წელს კი ამოქმედდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. შემდეგ დაიწყო ჭიათურა-საჩხერე-გომის საავტომობილო გზის და ფართოლიანდაგიანი რკინიგზის შენებლობა. მანგანუმის მრეწველობის სიკეთე მთელ საქართველოსაც გადაწყვდა. მრეწველთა საბჭოს ინიციატივით საქველმოქმედო დახმარება ეწეოდა სხვადასხვა პატრიოტულ ორგანიზაციას, მისი სტიპენდიით რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნებოდნენ ახალგაზრდები.

მანგანუმის მრეწველობის სიკეთე ხალხმა სრულყოფილად მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1928 წლიდან იგრძნო, როდესაც საბჭოთა მთავრობამ გაიუქმა ამერიკელ მრეწველ ჰარიმანთან დადებული საკონცესიო ხელშეკრულება და შეიქმნა მანგანუმის ტრასტი — ამჟამად „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანება.

მანგანუმის სამამულო მრეწველობის განვითარების კვალობაზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა მძლავრი ტექნიკური ინტელიგენცია, რომელმაც თავის მხრივ ბევრი გადაიტანა სამთო მრეწველობის აღდგენა-განვითარების, შეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა შესაბამისად ტექნიკური კვლევა-ძიებანი, მანგანუმის მადნის მოპოვებისა და გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფის რთული პროცესი.

ოცდაათიან წლებში ფართო მასშტაბით დაიწყო მეცნიერული ძიება ჭიათურის მანგანუმის მადნების მეტალურგიული შესწავლისათვის. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ, რომელმაც ქართული მანგანუმის მადნისაგან ელექტროღუმელში პირველმა მიიღო ფერომარგანეცი, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შენებლობას და სხვადასხვა შენადნობის მიღების ტექნოლოგიას. საბჭოთა კავშირის შავი და ფერადი მეტალურგია ჭიათურის მანგანუმის დიდი მომხმარებელი გახდა.

ამჟამად „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანება ყოველწლიურად აწარმოებს 84.100 ათასი მანეთის ღირებულების 2090 ათას ტონა სასაქონლო მანგანუმს.

მანგანუმის მრეწველობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებამ, მაღაროებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქციამ, თანამედროვე მოწყობილობითა და მძლავრი სამთო ტექნიკით მათმა აღჭურვამ. მოწისქვეშა სანგრევებში დაინერგა მაღალმწარმოებლური გამშეენდი კომპლექსები, დამტვერთავი და საბურღი მანქანები, შემუშავდა მადნის გამდიდრების ახალი ტექნოლოგიური სქემები, რის შედეგად შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე 70 პროცენტამდე გაიზარდა. ღენინის, პატარიძის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოებში ძირითადად ყველა პროცესი მექანიზებულია. ორჯონიკიძის, სტალინისა და კალინინის სახელობის. მაღაროთსამმართველოების მეორედ დამუშავებულ და დაბალქერიან ველებში გამოყენებულია კუმშულ და ელექტროენერგიაზე მომუშავე მცირეგაბარიტიანი დამტვერთავი მანქანები. თითქმის მთლიანად ავტომატიზებულია მანგანუმის მამდიდრებელი ფაბრიკები. ამ და სხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში ჭიათურელ სამთო სპეციალისტებს დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მასალებისა და მოწყობილობების მომწოდებელი ორგანიზაციები.

შედეგიც არ არის ცუდი. თუ ადრე ყვირილას მიჰქონდა ძვირფასი ნივთიერება და მდინარეც ბინძურდებოდა, ადამიანის აზრამდა ა გონებამ დადებითად გადაწყვეტა ეს პრობლემა. ამოქმედდა საფლოტაციო ფაბრიკა, რომელიც ზლამდან ამოკრეფს მანგანუმს, ხოლო საბოლოო ნაგები თავს იყრის ზლამსაცავ მეურნეობაში, სადაც მისი ფილტრაცია ხდება. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს ბიბლიოთეკა

მანგანუმი მარტო ჭიათურული როდია

თვითღირებულება, დაიზოგოს ძვირადღირებული სამაგრი ხეტყე, უკეთ დავიცვათ უსაფრთხოების ტექნიკის წესები. მიუხედავად ძმიმე სამთო გეოლოგიური პირობებისა, ჭიათურის მანგანუმის საბადო თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს, როგორც უნიკალური და ჩვენი ქვეყნის ფაქტ მეტალურგიის ერთ-ერთი მძლავრი კერა.

მანგანუმის მრეწველობასთან არის დაკავშირებული ქალაქში „ჭიათურმანგანუმშენის“ მძლავრი სამშენებლო ტრესტის ჩამოყალიბება, რომელიც ზამო იმერეთის 5 რაიონს ემსახურება და ყოველწლიურად 23 მილიონ მანეთის სამუშაოს ასრულებს. მანგანუმის მრეწველობის გაფართოებამ წარმოშვა ქალაქის სახალხო მეურნეობის მრავალდარგოვანი განვითარების აუცილებლობა, რის შედეგად შეიქმნა და თავისი წვლილი შეაქვთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მსუბუქი, კვების, ელექტრონული, საშენ მასალათა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, მძლავრ სატრანსპორტო ორგანიზაციების, რომლებსაც შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივებიც აქვთ.

„ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანება აქტიურია საშეფო მუშაობაში. მის სტრუქტურაში შემავალი ყველა ქვედანაყოფი შეფობას უწევს კოლმეურნეობებს, რომელთა უმრავლესობა ეკონომიკურად სუსტია. ამიტომ ხშირად მათ საშეფო წესით გადაეცემა სხვადასხვა სახეობის მასალები, მოწყობილობები, დანადგარები, სოფლად მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება უტარდება ბაზა შენობა-ნაგებობებს, სკოლებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს. მაღაროელები აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

მანგანუმის მრეწველობის განვითარებასთან ერთად ჭიათურა გახდა თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქი. აქ ამენდა ბევრი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ახალი საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი, გზა და ქუჩა, სკვერები და ბაღები, რაც ძირითადად ჩვენი გაერთიანების სახსრებით კეთდება. საკმარისია ითქვას, რომ გაერთიანებამ ქალაქში ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა 177.925 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სადაც მაღაროელთა 13.778 ოჯახი ცხოვრობს. მარტო უკანასკნელ 10 წელიწადში სკოლების, სკოლამდელი აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენებლობისათვის გაერთიანებამ 30 მილიონი მანეთი დახარჯა. ყოველწლიურად ბინათმშენებლობისათვის ვხარჯავთ 3,5-4 მილიონ მანეთს. კიდევ უფრო ნათელია მაღაროელთა მომავალი. მარტო მეთორმეტე ხუთწლედში 38 მილიონი მანეთი, ანუ ჩვენი კაპიტალდაბანდებათა 41 პროცენტი სოციალურ-კულტურული ობიექტების შენებლობას მოხმარდება. ამას გარდა გაერთიანება სამთო სამუშაოების ზონიდან გადასაყვანი მოსახლეობისათვის აღდგენილ ნიადაგზე ყოველწლიურად აშენებს 50-60 ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს. წლევანდელიდან კი მათი რიცხვი 100-მდე უნდა გაიზარდოს.

ჩვენმა გაერთიანებამ ქალაქში სხვადასხვა დროს ააშენა ისეთი სოციალური მნიშვნელობის ობიექტები, როგორიც არის კულტურის სასახლე, ქალაქისა და გაერთიანების მედსანნაწილის საავადმყოფოების თანამედროვე ტიპის კორპუსები, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, ქალაქისა და გაერთიანების სასმელი წყლით მომარაგების ობიექტები, კვერეთის ზონის დასასვენებელი კომპლექსი, წილობრივი მონაწილეობით აშენდა სანატორიუმი წყალტუბოში, იგივე შენდება ბორჯომსა და ურეკში, შენდება აგრეთვე სამგზავრო საბაგირო გზები, სპორტული კომპლექსი, ტროლეიბუსით ერთმანეთს დაუკავშირდა ჭიათურა-საჩხერის რეგიონი, ახალი მიკრორაიონები აშენდა ნაგუთში, ლეკუბანში, ტოლსტოის ეკუჩაზე, ლენინის, პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოებში. ნინოშვილის ქუჩაზე მიმდინარეობს სავაჭრო რიგის მშენებლობა, რომლის ერთ-ერთი ობიექტი — რიტუალების სასახლე— ჭიათურელთა საყვარელი და კეთილმოწყობილი დაწესებულებაა. აქვე შენდება და ხალხის სამსახურში ჩადგება თოჯინების თეატრის, ცენტრალური ბბმლიოთეკის, ცენტრალური აფთიაქის, ჭადრაკის სახლის შენობები. მთლიანად იცვლის იერ-სახეს ქალაქის ცენტრალური — ნინოშვილის ქუჩა. სოფელ ხრეითში შენდება პიონერთა ბანაკი, დასასვენებელი ზონა, ხარაჩოებში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სოციალური დანიშნულების ობიექტები. გაერთიანების დაფინანსებით არის გაყვანილი 30 კილომეტრზე მეტი სიგრძის მოასფალტებული გზა. ხუთწლედის ბოლომდე მას კიდევ 22-კილომეტრიანი მონაკვეთი ეიმატება, რითაც ქალაქის ცენტრს უკეთ დაუკავშირდებიან ზონის სოფლები, გაერთიანებაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო დამხმარე მეურნეობას, რომელსაც შარშან მძლავრი სასათბურე მეურნეობაც შეემატა, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მაღაროელთა და მათი ოჯახების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში. იგი აწარმოებს ჭიათურის ზონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მესამედს, მათ შორის 160 ტონა ხორცს, 730 ცენტნერ რძეს, მრავალი სახის ბოსტნეულს. თავის მხრივ გაერთიანება მეურნეობაში წარმოების განვითარებისა და კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ყოველწლიურად ხარჯავს 1-1,5 მილიონ მანეთს. წლითიწლობით უმჯობესდება მაღაროელთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები, იზრდება მათი რეალური შემოსავალი. ამჟამად ერთი მომუშავის საშუალო ხელფასი 263 მანეთია, წამყვანი კვალიფიკაციის მუშისა კი 350 მანეთს აჭარბებს. მიწისქვეშა წამყვან კვალიფიკაციაზე მომუშავენი უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი უფასო კვებით, რისთვისაც ყოველწლიურად 250 ათასი მანეთი იხარჯება, ქალაქში არსებულ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში, რომელშიც დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თითქმის ყველა საშალებაა, ყოველწლიურად უფასოდ ან შეღავათიანი ფასით ისვენებს და მკურნალობს 1500-მდე მაღაროელი, რისთვისაც გაერთიანება ყოველწლიურად 145 ათას მანეთზე მეტს ხარჯავს. ასევე ყოველწლიურად 1,3 მილიონი მანეთი იხარჯება საცხოვრებელი ადგილებიდან საწარმოებამდე საავტომობილო ტრანსპორტით თუ საბაგირო გზით მგზავრთა უფასოდ გადაყვანისათვის. გარდა ამისა, უფასო დიეტური კვებით ყოველწლიურად საშუალოდ 900 მაღაროელი სარგებლობს, რასაც 26 ათას მანეთზე მეტი ხმარდება. ამასთან გაერთიანება ყოველწლიურად 74 ათას მანეთს ხარჯავს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საგზურების შესაძენად, რომლითაც 600-მდე კაცი სარგებლობს. ბაკურიანის გამაჯანსაღებელ ბანაკში ზაფხულობით საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ისვენებენ, ზამთრობით კი ახალგაზრდობა და უფროსი თაობა იკაეებს ჯანმრთელობას. საწარმოო ერთეულებში მაღაროელები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელით, მთლიანად მოხსნილია დღის წესრიგიდან საბაგვო ბაგა-ბაღების პრობლემა...

გაერთიანება შარშანდელი იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების პირველ მოდელზეა გადასული. დებულების თანახმად პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება ნაწილდება გაერთიანების კოლექტივში. იგი განთავისუფლებულია ბიუჯეტის შესატანი თანხის, შრომითი რესურსებისა და სამინისტროს ცენტრალურ ფონდში გადარიცხვისაგან. მიუხედავად ამისა, გაერთიანება სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდებიდან ყოველწლიურად დამატებით ღებულობს 45 მილიონ მანეთს წარმოების განვითარებისა და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად. სამთო გეოლოგიური პირობების გაუარესების გამო ეს დახმარების დონე მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის სიკეთე დღესაც სცლდება ამ ერთი რეგიონის ფარგლებს. მარტო მეზობელი სარხერის რაიონის 4 ათასზე მეტი მკვიდრი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაშია დასაქმებული, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში კი თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების მშრომელებიც მუშაობენ. ესე იგი თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული მანგანუმის მრეწველობის განვითარებას ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად მთელი ზემო იმერეთის, ადრე ეკონომიკურად ჩამორჩენილი კუთხის, სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობაც მოჰყვა შედეგად. და ეს პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება.

თუმცაღა ამ სიკეთეს ზოგიერთი უარყოფითი შედეგიც ახლავს. მხედველობაში გვაქვს მანგანუმის დამუშავების შედეგად ნიადაგის ზედაპირის აშლილობა, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება. ყოველწლიურად, სამთო სამუშაოების წარმოების გამო, საერო ხდება საშუალოდ 100-120 ოჯახის სხვა, ეგრეთ წოდებულ უშიშარ ადგილზე გადაყვანა, რაც მეტად მტკივნეული და რთული პროცესია.

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული სირთულეები მაღნის ღია წესით დამუშავებით არის გამოწვეული და დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციას უკავშირდება. ყოველწლიურად გაერთიანება აზიანებს 28-30 ჰექტარ მიწას, ხოლო გასულ წლებში დამუშავებული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ ყოველწლიურად აღადგენს და პატრონს უბრუნებს 32-35 ჰექტარ ფართობს. ზოგიერთი ორგანიზაცია და ცალკეული პიროვნებები გვედავებიან სამუშაოთა ღია წესით წარმოების გამო. აქ უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება. პირველი ის არის, რომ მიწისქვეშა სამუშაოებითაც ზიანდება ზედაპირი. სამთო სამუშაოების ზონიდანაც აუცილებელია მოსახლეობის გადაყვანა. წარმოშობა სიცარიელეები, და უმეტეს შემთხვევაში ნარგავებიც ხადგურდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს ღია წესით ხდება 2 მილიონი ტონა მადნის მოპოვება, რაზეც 400-მდე სამოელია დასაქმებული, მიწისქვეშა გამოლების პირობებში ამას დასჭირდება 2000-ზე მეტი კაცი. მიწისქვეშ, გარდა იმისა, რომ ბევრად ძნელია მუშაობა, ასევე ბევრად უფრო მეტად არის მოსალოდნელი ტრავმები, პროფდაავადებები, მადნის დანაკარგი და სხვა.

ამჟამად შექმნილია რესპუბლიკის მთავრობის კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხებს და თავის დასკვნას გააკეთებს. ჩვენი აზრით კი ღია სამუშაოებით მადნის მოპოვება შემდგომაც უნდა გაგრძელდეს, ოღონდ იმ ვარაუდით, რომ შემუშავდება სათანადო დამატებითი ღონისძიებები, გაუმჯობესდება ხარისხი პროექტებისა, რომელთაც საჯაროდ განვიხილავთ. ამასთანავე უნდა გამოიძებნოს დამატებითი სახსრები სარეკულტივაციო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ტემპის დაჩქარებისათვის.

მიხეილ აფაქიძე,

„ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

თქვენი რჩევით, ქვირფასო მეგობარნო!

როგორი იქნება „კომუნისტი“ ამ ახალ, 1989 წელს?

უკვე ორ თვეზე მეტია, რაც „კომუნისტის“ რედაქციასა და გაზეთის მკითხველებს შორის საინტერესო დიალოგი გაჩაღდა. კითხვას, თუ როგორი უნდა იყოს წლეულს „კომუნისტი“, მხურვალე გამოხმაურება მოჰყვა. და აი, ყოველდღიურად რედაქციის ფოსტა მდიდრდება გულითადი რჩევით. კეთილი სურვილებითა და საქმიანი წინადადებებით ალსავსე წერილებით, რომლებიც თანდათანობით უკვე ხდება ბევრი პუბლიკაციის, ახალი განყოფილებისა თუ რუბრიკის დაბადების, მთელი სარედაქციო მუშაობის დაგეგმვის საფუძველი.

მკითხველთა ასეთი წერილების პირველი მიმოხილვა უკვე გამოვაქვეყნეთ. დღეს ვბეჭდავთ მეორე მიმოხილვას, რომლიდანაც კვლავაც ნათლად ჩანს რესპუბლიკის მშრომელთა დიდი დაინტერესება, რომ მათი გაზეთი, როგორც ისინი გვწერენ, აქტიურად ეხმიანებოდეს ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნების ყველა პროცესს, ყველა ეკონომიკურ, სოციალურ და ეროვნულ პრობლემას, იყოს ადამიანთა ნამდვილი გულთამხილველი და მეგობარი.

მთავარი თემა გაზეთისა, როგორც ამას მკითხველთა უმეტესობა გვიკარნახებს, უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გაღრმავება, გარდაქმნის ფრონტის სულ უფრო გაფართოება.

„მე პირადად გარდაქმნა მესმის, როგორც შემობრუნება ჭეშმარიტებისაკენ“. — გვწერს წითელწყაროდან **თემურ გონაშვილი.** — მისი აზრით, გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ბევრი სტატია ცალმხრივია და სუსტად იგრძნობა გარდაქმნის სულისკვეთება. გაზეთი არ უნდა გაურბოდეს რომელიმე აქტუალურ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ჩვენებას, აზრთა გაზიარება ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ უნდა განვაგრძოთ და გავაღრმავოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. საამისოდ, მკითხველთა სიერთო აზრით, სასურველია „კომუნისტმა“ უფრო მეტი ადგილი დაუთმოს სახელმწიფო საწარმოს და კოოპერაციის შესახებ კანონების პრაქტიკული განხორციელების მიმდინარეობას, ამ მხრივ გამოცდილების ცოცხალი ყლორტების ჩვენებას, თანაც, საუკარაოზე გამოტანოს ის უმსგავსოებანი, რომლებმაც, სამწუხაროდ, თავი იჩინა სხვადასხვა სახის კოოპერატივების შექმნის პროცესში.

ეკონომიკის სფეროში წარმატებათა მისაღწევად ბევრ სიიაფლესთან ერთად მრავალგზის ნაცადი ფორმები და მეთოდები გვაქვს. მაგალითად, რატომ შეიანელა გაზეთმა ბოლო ხანს სხვადასხვა ავარიის წერილების ბეჭდვა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაზე? ეს ხომ მასების ცოცხალი შემოქმედებაა, — გვწერს პარტიის ვეტერანი, თბილისის სალოკომოტივო დეპოსთან არსებული ამიერკავკასიის რკინიგზის ზუსტი ხელსაწყოების შემკეთებელი სახელოსნოს ყოფილი ოსტატი **გიორგი კაპანაძე.** — კარგი იქნება, თუ უფრო მეტად გამოვაჩენთ რაციონალიზატორებსა და გამმეგონებლებს — ამ მოუსვენარი აზრის ადამიანებს.

დღეს ბევრს ელაპარაკობთ სასურსათო პროგრამაზე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ყოველდღიური ზრდა კი საამისოდ ერთ-ერთი პირველი საკითხია, მაგრამ როგორ გარდაიქმნება ეს დარგი? — სვამს კითხვას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის კათედრის პროფესორი **იოსებ მოსაშვილი** და თვითონვე უპასუხებს: ასეთი ძველებური მუშაობით შორს ვერ წავალთ. „უხეშად ირღვევა პირუტყვის საკვების დამზადება-გამოყენების ტექნოლოგიური ნორმები, უკიდურესად ჩამორჩენილია სასელექციო-სანაშენე მუშაობა, თითქმის არსად არ ინერგება მეცნიერების მიღწევები... ამიტომ უცსაურად მეჩვენება, რომ ამ საკითხებზე გაზეთი „კომუნისტი“ თითქმის არაფერს წერს“.

ბევრ წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ დღეს, დიდი გარდაქმნების განხორციელების დროს, საჭიროა შევითვისოთ კრიტიკის კულტურა, ამხანაგური პოლემიკის კულტურა. გაზეთმა უნდა გაკიცხოს ისინი, ვინც ავადმყოფურად განიცდის კრიტიკას, ან სიტყვით კი აღიარებს შეცდომებს, მაგრამ თითს არ ანძრევს მის შესასრულებლად. ზოგიერთი მკითხველი პირდაპირ ასახელებს იმათ, ვინც, მათი აზრით, შეცდომებს უშვებს ან დანაშაულს სჩადის.

რედაქცია მკითხველთა სურვილებს და წინადადებებს რომ აღრიცხავს, ამასთან ერთად შეეცდება გზადაგზა შეამოწმოს მამხილებელი ფაქტების სისწორეც და შემდეგ გაზეთის ფურცლებზე განსჯოს. „დღეს განსაკუთრებით გვაქვს ადგილი კრიტიკული პუბლიკაციები იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა შესახებ, რომლებიც, სამწუხაროდ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება“, — გვწერს ახმეტიდან გაზეთის აქტიური მკითხველი **ამირან ხაშმელაშვილი.** ამასვე მოითხოვს ქუთაისელი **ვ. კუპავა,** რომელიც ამასთან გვატყობინებს, რომ ქალაქში დემოკრატიის მოხოვნები ირღვევა, ბევრი რამ ძველებურად მიდისო.

წერილების ავტორები — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მცხოვრები **ფორე მჭედლიშვილი,** თბილისელი **გიორგი კაპანაძე** და სხვები მოითხოვენ, რომ მკაცრად, საჯაროდ გაიკიცხონ საქმისნები და ყალბისმქმნელები, განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თანამდებობას.

ბევრი მკითხველი გვწერს: კარგი იქნება, თუ „კომუნისტის“ ფურცლები დაეთმობა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების შემოწმებას. ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს — რა და ვისი მიზეზით არ გაკეთდა, ობიექტური მიზეზით შეფერხდა თუ უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ვინმემ.

„მრავალჯერ დაიწერა იმის თაობაზე, რომ სამედიცინო დაწესებულებებში არის ავადმყოფებისადმი უყურადღებობის, გამოძალვის, წამლების გადამალვის ფაქტები, — აღნიშნავს თბილისელი **ვ. ჭოკოსაძე.** — აი, მოსახლეობასთან დიალოგს მართავს მინისტრი, მაგრამ რა გაეთდა?. რატომ ვერ სჯიან გაბედულად დამნაშავეებს? რატომ ვერ სწორდება საქმე?“

თბილისიდან **დავით დაუშვილი** გვწერს: „რა ხანია, ხალხს აღიზიანებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე უთავბოლო ექსპერიმენტების უწყვეტი ციკლი — იწერება წერილები, ირჩევა მოსაზრებები, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტა ან ძალიან დაგვიანებულია, ან სულ არა ჩანს. ალბათ ახლა, როცა ყველა მკითხველი „რაც მოგონდა“ პრინციპით გწერთ, მოისაკლისებს წერილის გამოგზავნის შედეგ ბევრ საკითხს, „რაც დავიწყნია“. ამიტომ ჩვენი სურვილია ჩამოიღოთ „რკინის ფარდა“, რომელიც რედაქციას ჩვენგან აცალკევებს და მოგვცეთ რედაქციაში შემოსვლის უფლება წინასწარი დარეკვისა და ვიზიტის მიზეზთან დაკავშირებული ანგარიშის გარეშე“.

აქ, რა თქმა უნდა, „რკინის ფარდის“ ამბავი გაზვიადებულია. მართალია „კომუნისტის“ რედაქციის შესასვლელში არის ფირნინი, რომელიც იტყობინება, რომ მკითხველებს ვიღებთ დღის სამი საათის შემდეგ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ დღის პირველ ნახევარში მთელი კოლექტივი მუშაობს გამოსაშვები ნომრის დაგეგმვაზე, დასაბეჭდი წერილების შერჩევასა და სწორებზე, ოპერატიული მასალების მიღებაზე... ალბათ ყველა გაგვიგებს, რა პასუხისმგებელი საქმეა ეს. შემდეგ კი, როცა „ნომრის საქმეს“ ძირითადად პასუხისმგებელი მორიგეები აიღებენ ხელში, რედაქციის ბევრ თანამშრომელს ეძლევა დრო და საშუალებაც უფრო ყურადღებით მოუსმინონ მოსულს, იყოს საქმიანი კამათიც, აზრთა გაზიარებაც. ცუდი რა არის იმაში, რომ მკითხველმა რედაქციაში კონკრეტულ პიროვნებას სთხოვოს მიღება და საუბარიც.

წერილის ავტორს იმ საკითხში კი მთლიანად ვეთანხმებით, რომ რედაქციისა და მკითხველის უკეთესი ურთიერთკავშირისათვის საჭიროა სხვა ღონისძიებების მოფიქრებაც. „კომუნისტის“ რედაქცია წლეულს ითვალისწინებს მკითხველებთან უშუალო შეხვედრებისა და დიალოგის სხვადასხვა ფორმას.

მკითხველთა წერილების სტრიქონებში განსაკუთრებით ჩანს თხოვნა იმის შესახებ, რომ გაზეთში გაიცემოდნ მეტი უნდა იბეჭდებოდეს არა ეგრეთ „წოდებული „ტიტულოვანი“ ავტორების, არამედ რიგითი ადამიანების — მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, ომისა და შრომის ვეტერანების, ახალგაზრდობის წარმომადგენელთა წერილები.

„წაიკითხავ ზოგჯერ გაზეთ „კომუნისტს“ და გებადება კითხვა: სად არის აზრი ადგილებიან, რაიონებიდან? ადრე უფრო ხშირად ქვეყნდებოდა მკითხველთა წერილები, მათი კრიტიკული შენიშვნები, ახლა... ჩემი აზრით, თუ სისტემატურად დასტამბავთ ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ადგილებიდან მიღებულ წერილებს, გაზეთის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდება“, — ასე გამოთქვამს თავის შენიშვნას ზესტაფონელი პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი **დავით ბელეშაძე.**

„მეტად უნდა გააქტიურდეს მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობა. გვახსოვს, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და შემდეგაც გამოდიოდა „მიწის მუშა“, „ახალი სოფელი“, „მუშა“, „ტარტაროზი“ და სხვა ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც ძირითადად მუშკორები და გლეხკორები ასულდგმულებდნენ“, — გვწერს ტყიბულიდან კომკავშირული მუშაობის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი **ნოე შარაბიძე** — რა საკითხებზე გწერროთ? აიღეთ სოფლის მიგრაციის საკითხი. იგი მეტად მტკივნეულია ჩვენს რესპუბლიკაში. უნდა აღვადგინოთ დაცარიელებული სოფლები! ვწეროთ, რომ ბევრი საწარმო ვერ ასრულებს გეგმებს, მაგრამ რატომ? ვინ არის დამნაშავე, სად არის მიმალული მიზეზები? სად არიან მაკონტროლებელი ორგანოები? მართალია, „კომუნისტი“ იტყობინება ხოლმე ამა თუ იმ დარგის სერიოზული ჩამორჩენის თაობაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრობლემებს უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ“.

ნ. შარაბიძე აყენებს წინადადებას: „კომუნისტის“ საკორესპონდენტო პუნქტებში ყველგან შეიქმნას 10-15 კაციანი ჯგუ

21 იანვარი ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღეა

ყველა თავისებურად გამოხატავდა სიყვარულს...

ვინ მოთვლის ლენინის შესახებ რამდენი რამ დაწერილა და იწერება. ძნელია ახალი, რამ დაუმატო კაცმა, ჯერაც უთქმელი და ჯერაც უცნობი. მაგრამ ადამიანები კიდევ და კიდევ იგონებენ მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მაგალითებს.

იდგა 1924 წელი. დიდებულად წერდა გრიგოლ რობაქიძე: რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბად პაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არა მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს.

იდგა 1935 წელი. მოსკოვის რადიოსადგურმა თხოვა თავის უცხოელ მსმენელებს ეპასუხათ კითხვაზე: — ვინ არის ისტორიის ყველაზე უდიდესი ადამიანი?

ლენინი.

აი მხოლოდ ერთი პასუხი: „...ლენინი. მან 7 წლის განმავლობაში უფრო მეტი სიკეთე გააკეთა, ვიდრე მსოფლიოს ყველა დიდმა ადამიანმა ერთად ოც საუკუნეში“.

გამოჩენილი ფრანგი კინოკრიტიკოსი ჟორჟ სადული თავის სახელგანთქმულ წიგნში, რომელიც მიძღვნილია დიდი ამერიკელი კინორეჟისორისა და მსახიობის ჩარლს სპენსერ ჩაპლინისადმი წერს, რომ 1918 წელს ჩაპლინს ეკითხებოდნენ: „რას ფიქრობთ თქვენ რუსეთის რევოლუციის შესახებ?... რას ფიქრობთ ლენინის შესახებ? განზრახული გაქვთ თუ არა მასთან შეხვედრა? თქვენ ბოლშევიკი ხართ?

...1918 წლიდან ჩაპლინი კარგა ხანს საუბრებშიც, ისევე როგორც ინტერვიუებში არ ფარავდა თავის სიმპატიებსა და თავის ინტერესს რუსეთის რევოლუციისადმი... ჩაპლინს ბრალს სდებდნენ „ბოლშევიზმში“...

ამერიკიდან გემით გამომგზავრების წინ მან უარი თქვა ეპასუხა კითხვაზე: „გაემგზავრებით თუ არა რუსეთში?“.

იგი საუბრის გაგრძელებაზე უკვე ევროპაში დათანხმდა.

— თქვენ ბოლშევიკი ხართ?

— მე პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ, მე არტისტი ვარ.

— რატომ გინდათ რუსეთში გამგზავრება?

—იმიტომ რომ ყოველგვარი ახალი იდეა მაინტერესებს.

— რას ფიქრობთ ლენინის შესახებ?

— იგი შესანიშნავი ადამიანი, — ჭეშმარიტად ახალი იდეის მოციქულია“.

და კიდევ: მოვიგონოთ რობერტ მაინორი — ამერიკელი მხატვარი, პოლიტიკური გრაფიკის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატთაგანი, გამოჩენილი ჟურნალისტი. (იგი 1918 წელს ოთხჯერ შეხვდა ლენინს).

1939 წლის იანვარში მან ნიუ-იორკში, ჟურნალ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც უპასუხა კითხვას: „რა მნიშვნელობა აქვს ლენინს დღეს ამერიკელებისათვის?“

იგი წერდა „ლენინი მხოლოდ რუსი არ იყო.

მოწინავე ინგლისისათვის იგი ისევე ინგლისელი იყო, საფრანგეთისათვის—ფრანგი, გერმანიისათვის — გერმანელი, ჩვენ კი, ჩვენ ასევე პრეტენზიას ვაცხადებთ მასზე, რომ ეს დიდი ინტერნაციონალისტი განუყოფელია ჩვენი საკუთარი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან“...

ლენინი კაცობრიობის ისტორიაში ომის წინააღმდეგ ყველაზე უდიდესი მებრძოლი იყო. და ჩვენ კომუნისტებმა ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა შევითვისოთ მისი მოძღვრება ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მივყვეთ ამ მოძღვრებას.

საინტერესოა ჩვენი მოწინააღმდეგეების აზრი. ამერიკელი პოლიტოლოგის რ. ტაკერის აღიარებით ლენინი მეოცე საუკუნის რევოლუციურ მოღვაწეთა და თეორეტიკოსთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი ფიგურა იყო. „მეოცე საუკუნის მსოფლიოს, — წერს იგი, ღრმად და ყოველმხრივ შეეხო ის ფაქტი, რომ ამ დროს ლენინი ცხოვრობდა“.

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი არნოლდ ტოინბი თავის პროექტებში — „მსოფლიო სახელმწიფოს იდეალი“ დიდ ადგილს უთმობს საკითხს იმის შესახებ თუ რომელ ძალებს შესწევთ უნარი ახლა სათავეში ჩაუდგნენ „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნას. ანგარიშს უწევს რა სოციალიზმის ძალთა სიძლიერეს, იგი ავლენს მზადყოფნას იმისათვის, რომ „მსოფლიო სახელმწიფოში“ სოციალისტური ქვეყნებიც მიიღოს, თუმცა ეს მას აშკარად არ სურს.

შესანიშნავია მისი ფიქრები „მსოფლიო სახელმწიფოს“ ხელმძღვანელთა შესახებ. არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ტოინბიმ ბურუჟუაზიულ გარემოში ვერ ჰპოვა გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურა. ამიტომ თავისი პროექტებისათვის მიმზიდველობის მისაცემად ტოინბი მიმართავს ლენინს: „იგი, (ლენინი) დაინტერესებული არ იყო არც პირადი ხელისუფლებით, არც დიდებით... ან შექებით. ჩვენ ბედნიერები ვიქნებოდით თუ გვეყოლებოდა ახალი მსოფლიო ლენინი“.

იყო ასეთი შემთხვევაც: კრემლში მოვიდა წითელარმიელი, ინახულა ლენინის მდივანი და გადასცა ნახევარი პური: „გადაეცით ილიჩს, ახლა შიმშილობაა და ღმერთმა შეარგოს“. იგი არ ჩენერილა მიღებაზე, მხოლოდ ითხოვა, როცა ჩაივლის, დამანახვეთ, რომელია ლენინო.

1924 წლის იანვრის მკაცრ დღეებში ლენინის გარდაცვალების შესახებ სამგლოვიარო ცნობის მიღებისთანავე შუშენსკოეს მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს უკვდავეყოთ ბელადის ხსოვნა. ამ გადაწყვეტილებაში იყო ასეთი პუნქტი: „საზოგადოების თანხით შესყიდული იქნას ის სახლი, რომელშიც შუშენსკოეში ყოფნისას ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. მასში მოეწყოს სანიმუშო სახალხო ქოხსამკითხველო და ბიბლიოთეკა... გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცოცხალი ძეგლი და აშენდეს დიდი ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფისათვის, პერიოდი ხელმძღვანელობის ახალი მეთოდებისა და ლენინური სტილის ფორმირებისათვის XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამისათვის საჭირო კიდევ უფრო ღრმად შევისწავლოთ ლენინის ცხოვრება, მისი ნაწარმოებები. ხელმძღვანელი, რომელიც ხშირად არ მიმართავს ლენინს, მისი ცხოვრების მაგალითს, კავშირს წყვეტს ცხოვრებასთან.

ლენინმა უკვდავი ნაწარმოებები დაგვიტოვა. მან დაწერა ათეულობით ნიგნი და ბროშურა, ათასობით სტატია, წერილი, მისი ნაწერები შეიცავს 55 ტომს, რომლებშიც გამოქვეყნებულია დაახლოებით 9 ათასი ლენინური დოკუმენტი. ლენინის მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონს კითხულობს და სწავლობს ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანს, რომლებსაც აინტერესებთ, აღელვებთ ადამიანის, მთელი საზოგადოების ანმყო და მომავალი. იუნესკოს მონაცემებით, იმ ავტორთა შორის, რომლებსაც ყველაზე მეტად თარგმნიან სხვა ენებზე, ა. ჩვენელი ადგილი ეკუთვნის ლენინს. ბელადის ნაწარმოებები დღემდე 134 ენაზე ითარგმნა.

აი, ერთი შესანიშნავი ფაქტი ლეგენდარული ფიდელ კასტროს ცხოვრებიდან: 1953 წელს პატრიოტების ჯგუფმა ფიდელ კასტროს მეთაურობით სცადა შტურმით აეღო მონკადას სამხედრო ყაზარმები. აჯანყებულებმა მაშინ ვერ შეძლეს დაუფლებოდნენ ამ ყაზარმებს. ისინი დაიპატიმრეს.

სასამართლოზე ფიდელ კასტროს შეეკითხნენ:

— ბრალდებულთაგან ვის ეკუთვნის ლენინის თხზულებათა ტომი, რომელიც ჩამოგართვეს?

ახალგაზრდა ფიდელ კასტრომ გაბედულად და მამაცურად უპასუხა:

— ეს ჩემი წიგნია. ის ვინც არ კითხულობს ასეთ წიგნებს უვიცია.

საქართველოს კომპარტიამ დიდი და სახელოვანი გზა გაიარა. ეს გზა ყოველთვის როდი იყო იოლი. და ამ ბრძოლასა და შრომაში ყოველთვის ჩვენთან იყო და არის უკვდავი ლენინის დიადი სახე. საქართველოს კომპარტიის კომუნისტები, მშრომელები ამ ყველასათვის მისაბაძი ნიმუშის მიხედვით ამოწმებენ თავიანთ საქმეებს, ჩანაფიქრს.

ყველა თავისებურად გამოხატავს სიყვარულს და პატივისცემას ყველაფრისადმი, რაც დაკავშირებულია ლენინის ცხოვრებასთან.

არასდროს არ დამავიწყდება სამხედრო ასეული მარშით მოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის შენობასთან მოახლოებისას მეთაურმა გასცა ბრძანება: „სდექ!“ და გაგრძელა: „სმენა, სწორდით ლენინის მუზეუმის შენობისადმი!“.

ცხადია, მსგავს პატივისცემას არც სამხედრო წესდება, არც რომელიმე განკარგულება არ ითვალისწინებდა.

ძველმა მეთაურმა კი იცოდა, იდგა 21 იანვარი — ბელადის გარდაცვალების დღე.

არის გამოთქმა „ისტორიასთან შეხება, ბელადთან შეხება“.

აი სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ასეთი შეხება.

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე

შემოქმედებითი სიმწიფე



გიორგი შენგელაია ბუნებამ უხვად დააჯილდოვა; უტყუარი შემოქმედებითი ალღო და მხატვრული სახეებით აზროვნების ნენარი, მოვლენის არსში წვდომის, ფაქტის მხატვრული გააზრების, მისი განზოგადების ნიჭი, — აი მისი შემოქმედებითი პორტრეტის მთავარი მანიშნებლები, რაც მის ხელიდან გამოსულ ყველაფერს — სცენარს, ფილმს, განხორციელებულ როლს, სამუზეუმო ექსპონიციას (როგორც ვიცით მას დიდი წვლილი აქვს დედის, ქართველი კინოვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის მოწყობაში) — ხელოვნების ნიმუშად გადააქცევს.

მაყურებელი გ. შენგელაიას იცნობს როგორც მსახიობს და რეჟისორს. მას შემდეგ, რაც სულ ახალგაზრდა პირველად გამოჩნდა ეკრანზე ფილმში „ჩვენი ეზო“, მისი გმირები კვლავ ვიხილეთ ფილმებში — „ოთარაანთ ქვრივი,“ „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ქვიშანი დარჩებიან“. გიორგი შენგელაიას — მსახიობს განსაკუთრებული გულწრფელობა ახასიათებს. მის მომხიბვლელობაში მაყურებელი იმ სხივსაც გამოარჩევს ხოლმე, დედისაგან რომ მიიღო მემკვიდრეობად. ერთი რამ ცხადია: მისი გმირები უყვარს მაყურებელს, ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

გიორგი შენგელაია-რეჟისორი მაყურებელმა 1962 წელს გაიცნო ფილმით „ალავერდობა“ (გურამ რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით). ჩემი აზრით, ახალგაზრდა რეჟისორის დებიუტი კინოში, 60-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებულ მოვლენად რომ იქცა, ფირთო კინემატოგრაფიულ ასპარეზზე ჯეროვნად ვერ დაფასდა. მხედველობაში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი გატანა მაქვს, თორემ ჩვენმა მაყურებელმა და კინომცოდნეობამ იგი ღირსეულად დააფასა. ახლა, როდესაც დროის დისტანციიდან აფასებ ამ ფილმს, კიდევ უფრო გაოცებს დებიუტანტის სითამამე და ხელოვნება, რომელმაც ავტორის საკუთარი, მოღვაწე სიტყვა გვამცნო, სიტყვა — ინერტულობასა და ქაოსთან მებრძოლი, შენებისა და სიცოცხლის აღორძინებისაკენ მიმართული, სიტყვა — მართალი, ერისა და ქვეყნის სიყვარულით თქმული.

დროთა განმავლობაში გიორგი შენგელაიამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თემისა და ეანრის ფართო არჩევანით ისარგებლოს, ამასთან ყოველთვის შეინარჩუნოს ერთხელ არჩეული პოზიცია — სიმართლის მქადაგებლის პოზიცია. ამის საუკეთესო დასტური მისი ეანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებაა, რომელიც მოიცავს ვესტერნს, მიუზიკლს, ფსიქოლოგიურ დრამას და სხვ. „მაცი ხვიტია“, „ჯილდო“, „ფიროსმანი“, „ქვიშანი დარჩებიან“, „ვერის უბნის მელოდიები“, „სიყვარული ყველას უნდა“, „ხარება და გოგია“. ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნის ორიგინალურ ნიმუშად მაინც „ფიროსმანს“ გამოვარჩევდით. ეს ფილმი გ. შენგელაიას ნიჭის ნამდვილ აპოთეოზად იქცა. „ფიროსმანში“ რეჟისორმა ინტელექტუალური და ემოციური შემეცნების სინთეზით წარმოადგინა მარტოსული ადამიანის ცხოვრება, რომელმაც „დღესასწაული“ აჩუქა ხალხს. აი რას სწერდა მას ამ ფილმის გამო კონსტანტინე სიმონოვი (წერილი ქვეყნდება პირველად): **„ძვირფასო გიორგი! გუშინ თქვენი „ფიროსმანი“ ვნახე. სურათი გულში ჩამწვდომი და სევდიანი გამოვიდა. თუმცა არც შეიძლებოდა და არც უნდა ყოფილიყო იგი სხვაგვარი. მას ფიროსმანის ბედის მძაფრი განცდით უყურებ. ზიხარ დარბაზში და გსურს რაღაც ჩაიდინო, რომ დაეხმარო ფიროსმანს, უკარნახო, რა ქნას, რათა შეუცვალო ბედი და ამ სურვილების ძალა ხაზს უსვამს სურათის ზნეობრივ მნიშვნელობას, სურათში მძლავრად ეღერს ადამიანთა ურთიერთობებში სისუფთავის, სამართლიანობის კეთილშობილური მოთხოვნილება.**

ფიროსმანის მოუწყობელი ცხოვრების გამო ტანჯვისაგან განმვნენი განცდა მაქვს. არა, ასეთი არ უნდა იყოს მხატვრის ცხოვრება! არა, ის უნდა ბედნიერი იყოს! აი, რა გინდა იყვნო, როცა ფილმს უყურებ.

დიახ, ფიროსმანი არ იყო ბედნიერი და ჩვენ უკვე ვერაფერს შევცვლით. მაგრამ ამ უბედურმა კაცმა ადამიანებს თავისი სურათები დაუტოვა და გაბედნიერა ისინი.

გულით გილოცავთ ამ ღრმა ნაწარმოებს, გეგზავნეთ, გისურვებთ ბედნიერებას“.

კონსტანტინე სიმონოვი;

27 აგვისტო 1969 წელი.

„ფიროსმანმა“ დიდი წარმატება მოუტანა რეჟისორს. ფილმმა მიიღო დიდი პრიზი „ოქროს ჰიუგო“ ჩიკაგოს (აშშ) მეათე საერთაშორისო კინოფესტივალზე 1974 წელს, ბრიტანეთის კინოინსტიტუტის პრემია; ინგლისელებმა „ფიროსმანი“ 1973 წლის ყველაზე ორიგინალურ და ხატოვან უცხოურ ფილმად აღიარეს. მან მიიღო პირველი პრემია, როგორც საუკეთესო ბიოგრაფიულმა კინონაწარმოებმა აზოლაში (იტალია), ხელოვნებისა და მხატვრობისადმი მიძღვნილი ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე 1974 წელს, სპპტიო დიპლომი ჰელსინკში (ფინეთი) 1977 წელს და სხვ.

„ალავერდობისა“ და „ფიროსმანის“ ავტორის ფართო, ტევადი აზროვნება, მხატვრული ასოციაციების სპექტრი კიდევ უფრო ძალუმად გამოჩნდა ო. ჩხეიძის რომანის „ბორიაყის“ მიხედვით გადაღებულ ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. ეს არის ფილმი საქართველოსა და ქართველებზე, ფილმი-იგავი და ფილმი-სინამდვილე.

ფილმის სიუჟეტი, — ახალგაზრდა კომპოზიტორის მიერ ხალხური სიმღერების შეკრება, ერთგვარი გეოგრაფიული ექსკურსია საუკუნის დასაწყისის საქართველოში, სადაც შფოთი და ალეულობა სუფევს, დევნა და ტყვიე ყველაზე ძრავალი ქართველის ბედს, სადაც ადამიანები ტოტალურ შიშს მოუცავს, — ამგვარი დრამატურგიული სისტემა ფილმის დამდგმელს შთამბეჭდავი სახე-სიტყვაციების დახატვის საშუალებას უქმნის. ყოველივე ეს ფილმს მხატვრულ ღირსებას ანიჭებს და გ. შენგელაიას, როგორც ხელოვანისა და მოაზროვნის, პოზიციას გვამცნობს, რომელიც მოკლედ ასე გამოთქმის: სარწმუნოება — ერი და სამშობლო. ეს სურათი ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში ორიგინალურად დავინახეთ ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის მარადიული საკითხი.

ფილმის მაღალმხატვრულობაზე მეტყველებს მოპოვებული ჯილდოებიც — მინსკის საკავშირო კინოფესტივალზე — მთავარი პრიზი, ხოლო დასავლეთ ბერლინის 36-ე საერთაშორისო ფესტივალზე 1986 წელს — პრიზი საუკეთესო კინორეჟისურისათვის — „ვერცხლის დათვი“.

გიორგი შენგელაიას შემოქმედების მოწიფულობის ხანა თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ მისი, როგორც ხელოვნის ორიგინალობა მთელის სისავსით გამოვლინდა; თუმცა ისიც ცხადია, რომ წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა; ჩვენ ყველაზე გავზღვიდით შემოქმედების განახლების, მომავალი წარმატებების მოწმენი.

ეთერ ოკუჯავა.

ახალი გამოცემა

„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“ № 1

ამ ახალი გაზეთის დაარსების თაობაზე უკვე იუწყებოდა „კომუნისტი“.

და აი, მკითხველმა მიიღო მისი პირველი ნომერი.

„ეს გაზეთი გარდაქმნამ შვა. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის, ეკონომიკის რადიკალური რეფორმის გაღრმავების კვალობაზე იზრდება სახელმწიფო მართვის სფეროში საჯაროობის გაფართოების, მთავრობის საქმიანობის შესახებ საზოგადოებრიობის რეგულარულად ინფორმირების მოთხოვნილება. ეს არის ახალი გამოცემის ძირითადი ამოცანა“ — წერს მკითხველებისადმი მიმართვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი, რომელიც გულითადად მიესალმება გაზეთის მკითხველებს, რედაქციის კოლექტივს და გამოთქვამს რწმენას, რომ გამოცემა საბჭოთა პრესის მებრძოლ ორგანოდ გადაიქცევა, ენერგიულად და უკომპრომისოდ იბრძოლებს ყოველივე ახლისა და პროგრესულის დასამკვიდრებლად, რაც გარდაქმნას უკავშირდება.

საინტერესო, მრავლისადმთქმელია გაზეთის პირველ ნომერში წარმოდგენილი მასალები.

გაზეთის ბოლო, მე-12 გვერდზე მინაწერი გვაუწყებს, რომ ავტორთა კოლექტივის გადაწყვეტილებით, „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ პირველი ნომრის მასალებისთვის განკუთვნილი მთელი ჰონორარი სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

ქვეყნის კოოპერატორებს

დღეს საბჭოთა კავშირში შექმნილია დაახლოებით 100 ათასი კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია მილიონზე მეტი კოოპერატორი. ქვეყნის კოოპერაციული მოძრაობა ძალას იკრებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მიუხედავად ამისა, დადებით ტენდენციებთან ერთად კოოპერატორებს უჩნდებათ პრობლემებიც, რომლებიც გვაიძულებს გავერთიანდეთ ყველა დონეზე — რაიონით, ოლქით, რესპუბლიკით დაწყებული და ქვეყნით დამთავრებული.

კოოპერატივების წარმომადგენელთა საკავშირო ყრილობის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის მიერ შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი ქვეყნის ყველა კოოპერატორს მიმართავს წინადადებით შექმნან სსრ კავშირის კოოპერატივთა კავშირი წარმოებისა და მომსახურების სფეროებში, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტს კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, პროპაგანდას გაუწევს კოოპერაციულ მოძრაობას, უზრუნველყოფს კოოპერატივების უფლებათა დაცვას, და წარმოადგენს მათ ინტერესებს სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მონაწილეობას მიიღებს კოოპერაციის საკითხებზე ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავებაში, განახორციელებს კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ხელს მოჰკიდებს კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

კოოპერატორთა რეგიონალურ და პროფესიულ კავშირებში რომ გაერთიანდებით, გთხოვთ გამოეხმაუროთ ჩვენს მიმართვას და გამოგზავნოთ თქვენი წინადადებები, სურვილები, აგრეთვე ყრილობის მოსამზადებელ დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის თანხმობა. კრება დასახულია გაიმართოს მოსკოვში 1989 წლის თებერვლის დამლევს.

გთხოვთ წერილები გამოგვიგზავნოთ შემდეგი მისამართით: 141014, მოსკოვის ოლქი, ქ. მიტიშჩი, ვ. ვოლოშინას ქუჩა, 12, სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსი „მოსკოვის კოოპერაციის ინსტიტუტი“, საორგანიზაციო კომიტეტი.

განათლება: რეფორმის ნაბიჯები

▼ ▼

დიალოგი... უდღისწმასრიგოდ

რესპუბლიკის ახალგაზრდა პედაგოგთა ტრადიციული შეკრება არატრადიციული ცნობით დაიწყო: დღის წესრიგი არ იქნება, ნებისმიერ მსურველს შეუძლია დამსწრეთ გაუზიაროს აზრები.

ტრიბუნა ცარიელი არ ყოფილა, ავდრის მიუხედავად თბილისში, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული დამწყები მასწავლებლები აქ გამოოქვამდნენ თავიანთ აზრს, კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის ერთ-ერთ დარბაზში. ეს აზრი ხშირად პოლარული იყო. ერთი რამ ჰქონდათ საერთო: მათზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ როგორ ჩამოყალიბდება რესპუბლიკის, ქვეყნის ხვალინდელი მოქალაქეების ცხოვრებისეული პოზიცია.

პედაგოგის ძალა და გავლენა ხომ შეიძლება გაიზარდოს თუ მისი შემწე გახდება სკოლის სათანადო მატერიალური ბაზა, გაარბენილი საკადრო პოლიტიკა, მასწავლებლის შრომის შესაბამისი ანაზღაურება. ასეთი საკითხები დღეს მხოლოდ ახალგაზრდებს რადი აღელვებთ. მიუხედავად ამისა, მათგან გაგონილ ამ აზრს განსაკუთრებული ეღერადობა ჰქონდა.

სხვებზე უფრო ხშირად მიკროფონთან ფილოლოგები მიდიოდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ სკოლის ბიბლიოთეკების ბევრგან საეალო მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც ზოგჯერ ვერც კი იპოვნი ქართველ კლასიკოსთა წიგნებს. თვალსაჩინო დამსმარე სახელმძღვანელების, ლექსიკონების უქონლობამ შეიძლება შეაფერხოს სკოლებში ქართული ენის პროგრამის განვითარება, აღნიშნეს მათ. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ეს პრობლემები ეხება სოფლის სკოლებს. სწორედ მათ შესახებ გაჩაღდა სჯა-ბაასი.

მით უფრო სასიამოვნო იყო გაეცნობოდით თბილისელ გიორგი გეჯაძეს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დედაქალაქში გამწესების მიუხედავად, მუშაობის ადგილად აირჩია ახალციხის რაიონის სოფელ ვიორგიწმინდის სკოლა, სადაც ასწავლის მათემატიკასა და ინფორმატიკას.

დარბაზში მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას შეიქმნას ახალგაზრდა პედაგოგთა რესპუბლიკური ასოციაცია. გადაწყდა, რომ ეს შეიძლება მარტის პედაგოგიური სემინარის დროს, რომელიც ბაკურიანში გაიმართება. ჯერჯერობით კი პედაგოგებისაგან ელიან საქმიან წინადადებებს ამ სემინარის ორგანიზაციისა და ფუნქციონირებისათვის.

იმედია, რომ ამ დღეს თავიანთი პროფესიის ერთგული ახალგაზრდობის მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადებანი ჰაერში გამოკიდებული არ დარჩება.

(საქინფორმი).

● სსრ კავშირი—აშშ

ნაბიჯი დაბრკოლებათა აღმოფხვრის გზაზე

დამთავრდა კონფერენცია ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებზე

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დამთავრდა „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიკური კონფერენცია თემაზე „მშვიდობისაკენ — ვაჭრობის, ინვესტიციისა და განვითარების გზით“. კონფერენციის მონაწილეებმა — თვალსაჩინო საბჭოთა და ამერიკელმა ეკონომისტებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ფირმებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა — გაანიხილეს ფართო სპექტრის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას.**

ორდღიანი კონფერენცია მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რომელსაც ეს ფორუმი ერთ-ერთ ნაბიჯად მიაჩნია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გზაზე ჯერ კიდევ არსებულ დაბრკოლებათა დაძლევის პროცესში. როგორც განაცხადა მისმა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა — „პრობ ინტერნეშნლის“ კომპანიის პრეზიდენტმა ბენჯამინ ვაინერმა, „არშანდელმა წელმა გამოავლინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება სახელდობრ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობას. ამიტომ ესოდენ წარმომადგენლობითი ნიუ-იორკის შეხვედრის მიზანი ის არის, რომ განისაზღვროს პრობლემები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს ამ ურთიერთობის განსამტკიცებლად.

● ავსტრია

ხელი მოაწერეს კონვენციას

ვენა. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის განყოფილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ საბჭოთა მთავრობის სახელით ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოთროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კონვენცია შეიმუშავეს და მიიღეს ავსტრიის დედაქალაქში შარშან დეკემბერში საერთაშორისო კონფერენციაზე.**

ეროვნული ბერმაბლიანი ბერმაბლიანი ეროვნული

ბელგრადი. **ჩერნოგორიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ტიტოგრადში გამართულ პლენუმზე მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ. მისი მომზადებისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი.** პარტიული ფორუმის თარიღი დამტკიცდება ჩერნოგორიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე.

პლენუმზე გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი შტეფან კოროშეცი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩერნოგორიის მოვლენები ასახავს გაღრმავებულ კრიზისს იუგოსლავიაში, რაც გამოიხატა მთავრობის გადადგომით, ეკონომიკური მოდუნებით, ზოზინითა და ვაუბედაობით დასახული რეფორმების განხორციელებაში. ქვეყნის, მათ შორის ჩერნოგორიის პრობლემები, უნდა გადაწყდეს იმ კურსის შესაბამისად, რომლის მიზანია სოციალისტური თვითმართველობის განვითარება იუგოსლავიაში, რეფორმების განხორციელება ეკონომიკაში, პოლიტიკურ სისტემასა და პარტიაში. პლენუმზე აირჩიეს ჩერნოგორიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ხუთი წევრი, დანარჩენ ოთხს, მათ შორის ჩერნოგორიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარესა და მდივანს აირჩევენ ცენტრალური „კომიტეტის პლენუმზე, რომელსაც უახლოეს დრომი მოიწვევენ.

41-ე პრეზიდენტი—თეთრ სახლში

თეთრ სახლში სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა დაიკავა შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. ერთი მხრივ, თითქოს ეს უაღრესად შინაური ამბავი, მაგრამ, მეორე მხრივ, იმ როლის გამო, რომელსაც ეს ქვეყანა მსოფლიო საქმეებში ასრულებს, შორს სცილდება ეროვნულ ფარგლებს. იმაზე, თუ რა კურსს დაადგება ამერიკის შეერთებული შტატები, დამოკიდებული იქნება არა მარტო ამერიკელების, არამედ ჩვენი პლანეტის სხვა ხალხთა განწყობილება.

პრეზიდენტის ესტაფეტა ჯ. ბუშმა მიიღო კეთილსასურველ პირობებში. კაცობრიობა პირველად მიუახლოვდა მჭიდროდ ზღვარს, რომლის მიღმა აშკარად ჩანს თანხმობის, თანაგანვითარებისა და თანაშემოქმედების ერა. იმსხვრევა ერთმანეთისადმი მტრობისა და ეჭვიანობის სტერეოტიპები. კვანდრდება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი. ახალ ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც იქმნება, პირველი რეალური შედეგები მოაქვს: სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ისპრობა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტები, მუშავდება სხვა მომაკვდინებელი შეიარაღების ლიკვიდაციის ფორმულები.

ჩვენ გვახსოვს, როგორ გაგვიჭირდა თავდაპირველად რეიგანთან ურთიერთობა, რომელმაც ხელისუფლების სათავეში თავისი ყოფნა დაიწყო „ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობით“. მაგრამ მაინც ამერიკაში შეძლეს სხვა თვალით შეეხედათ სსრ კავშირისათვის. მნიშვნელოვანწილად ეს ახალი შეხედულება ყალიბდება ახალი პოლიტიკური აზროვნების ზემოქმედებით, რომელიც საბჭოთა კავშირმა შესთავაზა მსოფლიო გაერთიანებას და უკვე ახორციელებს ჭას.

ჯ. ბუში იწყებს სხვა ატმოსფეროში. მართალია, მას უარი არ თქვამს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების ზრდის ფართო მასშტაბის პროგრამებზე, მაგრამ თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნებად მან განსაზღვრა შეიარაღების შემდგომი შემცირება, დაძაბულობის შენელება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, საიმედო მსოფლიოს აშენება; გამოხატა მისწრაფება საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონსტრუქციული დიალოგის განგრძობისადმი. „სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების უფრო მტკიცე სტაბილური ურთიერთობა სარგებლობას მოიტანს არა მარტო ჩვენს ხალხებს, არამედ მთელ მსოფლიოსაც“, ხაზგასმით აღნიშნა მან საბჭოთა ხელმძღვ

სტიქია ბოგოქროს

გაუვალი გახდა რიკოთის უღელტეხილი



საკავშირო ფოტო.

● ბუიბული. (საკ. კორ.). ახალი წლის დასაწყისიდანვე ქალაქსა და მის ზონას რამდენჯერმე დაატყდა დიდთოვლობა, თოვლმა დაამძიმა ელექტროგადამცემი ხაზები, რითაც იწყო წყვეტა. წაიქცა ანძები. სტიქიის მძვინვარებით უშუქოდ დარჩა ქალაქი და ზონის თითქმის ყველა სოფელი. გვიშველა შაორჰესის ჰიდროელექტროსადგურმა, მთელ ქალაქს ახლა მხოლოდ იგი აწვდის ელექტროენერგიას შეზღუდული გრაფიკით, სოფლად კი ისევ მძიმე მდგომარეობაა. შუქი არსად არ არის.

ბოლო სამი დღეა განუწყვეტლივ თოვს, ჩამოინგრა ქვანახშირის მამდიდრებელი ფაბრიკის რკინის 139 გრძივმეტრი გალერეა, შეწყდა ქვანახშირის გამდიდრების პროცესი, ფაბრიკამ შეაჩერა პროდუქციის გამოშვება. გუშინ სამგზავრო ავტოსაწარმოში სარემონტო საამქროს ჭერი იმ დროს ჩამოწვა, როცა მძღოლები მას გადმოთოვლავდნენ. დაზიანდა 3 ავტობუსი, საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის. ჩამოინგრა პიონერთა სახახლის კლუბი, კვლავ შეწყდა ქალაქში ავტობუსების მოძრაობა, შეფერხებულია მოძრაობა ქუთაის-ტყიბულისა და ტყიბულ-ზესტაფონის მიმართულებით. დიდმა თოვლმა ჩაკეტა ხარისთავლის გადასასვლელი, რომელიც ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

სოფელ ძმუისში და გელათში ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის მავთულის გაწყვეტის გამო დაიწვა ორი 50 და 150-ნომრიანი სატელეფონო სადგური; სოფელ ხრეხილში ჩამოინგრა საკოლმეურნეო კანტორის სახურავი და დაზიანდა 100-ნომრიანი ავტომატური ტელეფონისა და რადიოსადგურები. დიდი ზიანი მიადგა ქალაქის სატელეფონო კომუნიკაციებს. ქალაქის ერთ დიდ უბანში მოიშალა სატელეფონო კავშირი.

სტიქიით მიყენებული ზარალი იზრდება. ახლა ყველა ძალები დასაქმებულია საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სახურავების გადმოთოვლით.

● ზესტაფონი. (საკ. კორ.). ხანმოკლე გამოდარების შემდეგ ამინდი კვლავ გაჭირვეულდა. 16-17-18 იანვარს ზესტაფონის რაიონში უხვი ნალექი მოვიდა. იყო ბეჭა-ქუხილი, რასაც თან მოჰყვა ძლიერი ქარი, თოვას ხშირად ენაცვლებოდა წვიმა. განსაკუთრებით ზვავების და მიწის ეროზიის კერები, რის გამოც კვლავ შეფერხდა მოძრაობა ამერკაკავკასიის რკინიგზისა და ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალებზე. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა სოფლებს. გართულდა შიდა სატრანსპორტო მოძრაობაც.

მძიმე მდგომარეობა შეექმნა რაიონის სამრეწველო საწარმოებს. წლის დასაწყისიდან შრომის პროცესი არ განსხლებულა ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშისა“ და ბუნებრივი საღებავების ქარხანაში, მეორე დღეა ელექტროენერგია შეუწყდა მორაკნის სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივს „მარსს“, სამკერვალო ფაბრიკას, ლიმონათის ქარხანას. ნედლეულის მიწოდებაში წყვეტილობის გამო შეფერხებით მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხანა. რაიონის მრეწველობაში მოცდენებით გამოწვეულმა ზარალმა 5 მილიონ მანეთს მიაღწია.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რაიონის მეცხოველეები. ვერ მოხერხდა ელექტროენერგიის მიწოდება მეორე სვირის, ფუთის, ილემის, ტაბაკინის, დილიკოურის, ბოსლევის მეცხოველეობის ფერმებისათვის. არის მსხვილფეხა პირუტყვის დაცემის შემთხვევები. მეფრინველეობის ფაბრიკაში გაწყდა 15 ათასი ფრთა ფრინველი. ხაშიშორების წინაშეა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების იანვრისა და მოლიანად პირველი კვარტლის დავალების შესრულება. უხვმა ნალექმა საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს. მეწყურლმა მოვლენებმა თავი იჩინა სოფელ შროშაში, ბოსლევში, ჭვიდა საქარაში, დილიკაურში, პირველ და მეორე სვირში.

თოვლისა და ძლიერი ქარისაგან დაზიანდა ხასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 65 ობიექტი, რომლის ზარალმა 1 მილიონ 500 ათას მანეთს გადააჭარბა.

რაიონში კვლავ რთულია ვითარება.

ომის ეძო

ქორეასპოდენციის სათაურმა ზოგიერთს შეიძლება ცნობილი ქართული ფილმი „შეხვედრა წარსულთან“ გაახსენოს. არა, რასაც ახლა მოგითხრობთ, ამ ფილმთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ, სათაური დავესესხეთ, რადგან ფილმშიცა და ამ შემთხვევაშიც მამა-შვილის წარსული ამბავია მოთხრობილი. სათაური კი მართლაც მიესადაგება ერთი ჰოლანდიელი ქალისა და ქართველი კაცის ორმოცდასამი წლის წინანდელი ისტორიის ერთ-ერთ ამბავს.

ბევრს უთუოდ ახსოვს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართველ ტყვეთა აჯანყების ამბავი, იგი თავის წიგნში აღწერილი აქვს ამ აჯანყების მონაწილეს, ამჟამად თბილისში მცხოვრებ ევგენი არტემიძესაც. აჯანყების შესახებ შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებიცა და ფილმიც. ჩვენ არც აჯანყების ამბის მოყოლას ვაპირებთ. ვგონდა მკითხველს მოვუთხროთ იმ აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის ძველანაგელ ილია ბეგიაშვილის ამბავი.

ამ დღეებში მან დეპეშა მიიღო. ამა და ამ დღეს თბილისის აეროპორტში ამა და ამ საათზე დახვდი მოსკოვის თვითმფრინავსო. მანამდეც მიიღო არტემიძისაგან წერილი — შენი შვილი ჩამოვაო. მეუღლე, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, სძე და რძალი, უკვე მოზრდილი შვილიშვილები შემცბარ და ჩაფერფრებულ ილიას რომ უცქეროდნენ, ამ მოაგალეჩირგამოვლილ კაცს ვეღარ ცნობდნენ. ილიამ შინაურების გაოცებულ თვალებსა და ჩურჩულს ვეღარ გაუძლო და წარსულის ერთი საიდუმლო როგორც იქნა, გაუმხილა. ოჯახის წევრებთან მონათხრობს მეც გადმოგცემთ:

— რომ დაგაფიქრათ-მეთქი, ვუთხარი ჩემიანებს, ან რასა ჩურჩულებთ, კაცი კი არ მომიკლავს. თქვენ კარგად იცით, რომ ორ წელიწადს ტყვედ ვიყავი... ტექსელის ბანაკში ქადებს კი არ მოგვართმევდნენ, ფაშისტები ძალღურად გვექცეოდნენ... ჰოდა, რომ გვემუშავნა, უნდა მოვღონიერებულიყავით. საამისოდ სოფლში გვიშვებდნენ. ხომ იცით, ქართველებს კარდაკარ სიარული არ გვიყვარს. მეც ერთ კარგ ოჯახს შევეხიზნე, ყველაფერს ვაკეთებდი მათს კარ-მიდამოში. უკაცო ოჯახის წევრები პატივისცემით მექცეოდნენ. ერთიც უნდა ითქვას, ხომ იცით, რაც უნდა გაჭირვებაში იყოს, კაცი მაინც კაცია, ქალი კი — ქალი. გვარად ბლენტების ოჯახში ისე გამთამამეს, რომ ერთობ გავშინაურდი, მიმიღეს და მეც მიგენდე. უცოლშვილო, 24 წლის კაცს მეტი კი არ მინდოდა — ილიამ ლაპარაკს მოუნელა, მერე გაჩუმდა.

— ნუ გერიდება, ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო, ნურც შენი ცოლშვილისა გერიდება, — წაეპეზე იგი.

— ჰო, რაღაა დასამალ-დასაფარავი. როგორცა ეთქვი, ბლენტების ოჯახში გავშინაურდი. მათი ქალიშვილი ბაუხია ხშირად მეკითხებოდა, სად არის საქართველო. მეც რუკაზე ვაჩვენებდი ხოლმე... ჩვენს ისტორიას მრავალჯერ მომაყოლებინებდა ხოლმე და ამასობაში დავმეგობრდით, ერთმანეთს გული გავუხსენით.

— კი, მაგრამ, ქალიშვილს რა ენაზე ელაპარაკებოდი?

— გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. მე და ბაუხია ერთმანეთის ენას ვსწავლობდით. მაღე ყველაფერს ეაგებინებდით კიდეც, ბოლოს მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა, უერთმანეთობა გვიძნელდებოდა. მერე კი ქალიშვილიც შეგვეძინა. ბაუხიამ დედაჩემის სახელი ანიკო მისეულად გადააკეთა და ახალშობილს ანეკე დაარქვა.

— ანეკეს თბილისში ჩამოსვლას დეპეშით გატყობინებდა ამ დღეებში ევგენი არტემიძე, ხომ?

— ეგრეა, აბა რა იცოდა ჩემმა ცოლ-შვილმა, რომ მე ჰოლანდიაში ქალიშვილი მყავდა. მე კი მისი სურათიც მომივიდა კიი ხნის წინათ... უფრო ადრე მათ ცოლშვილთან ერთად გადაღებული სურათიც გავუგზავნე. ახლა კი, როცა ტურისტული საგზურით თბილისში ჩამოდიოდა, ორმოცდასამი წლის წინანდელი ამბის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და მეც ცოლშვილს ყველაფერი გავუმხიელი... ამასობაში თბილისის აეროპორტში შეხვედრა შვილთან ვერ მომახერხდა, ევგენი არტემიძეს და მისმა ქალიშვილმა გულიკომ აგერ ძველანაგაში ჩამომიყვანეს ჩემი პირმშო, აგრეთვე მისი ქმარი ხერტი, ქალიშვილის ძმა ტიიფი, რომელიც თურმე ჩემს შემდეგ გათხოვილ ჰოლანდიელ ბაუხიას ეყოლა, და იმ ტიიფის ცოლი.

— როგორ იცანით თქვენი შვილი? — ვეკითხები ილიას.

—ჰოლანდიიდან გამოგზავნილი ბავშვობის სურათით და ისედაც არ გამიჭირდებოდა — მგავს. ბაუხიას ჩემი სურათიც ხომ ჰქონდა, ცოლ-შვილთან ერთად გადაღებული... ძნელია ჩვენი განცდების გადმოცემა. სიხარულის ცრემლს ვერ ეიკავებდით.

და ილია მიყვება იმ ძნელბედობის ჟამის ამბავს:

— გერმანელებმა ქართველთა აჯანყება სისხლში ჩაახრჩეს, გადარჩენილთაგან ზოგი ინგლისში გადავიდა, ზოგიც ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიფარა, მე ჩვილბავშვიან ბაუხიასთან დავიმალე. საგულდაგულოდ შევინიღბე, ისე, რომ გერმანელებმა ვერ მოძაგნეს. შემდეგ მაღე ჰიტლერული გერმანია დამარცხდა, ჩვენც საფარიდან გამოვედით, დახოცილი აჯანყებულები დავასაფლავეთ.

— თქვენ როგორ შეხვდით ამ ამბავს? — ვეკითხები ილიას მეუღლეს და მის ვაჟიშვილს თამაზს, შვილიშვილს — მეათეკლასელ ქეთინოსა და მეთერთმეტეკლასელ ილოს.

— სრულიად ჩვეულებრივ, — მიპასუხა ილიას მეუღლემ. ომის დროს რაღა არ ხდება. მე სიხარულით მივიდე ილიას სიყრმის შვილი. როცა ანეკემ მითხრა — რას იტყვით, მე რომ აქ დავრჩე, მამაჩემთანო, — ვუპასუხე — მესამე შვილად მიგიღებ-მეთქი და გადავკოცნე. როცა მის მეუღლე ხერეტს, გულიკომ ჩემი ნათქვამი უთარგმნა, ცრემლები მოერია და ისიც კმაყოფილი დარჩა ამით და გადამეხვია.

ბეგიაშვილები ქართული სტუმართმოყვარეობით გულმხურვალედ შეხვდნენ ჰოლანდიელ ახლობლებს. მარაწში თავი მოხადეს ქვევრს და ახალი ღვინით მოილხინეს, მხურვალედ დალოცეს ერთმანეთი, მერე საბაგირო გზით სიღნაღში ავიდნენ, ძველთაძველი ქალაქის ქონგურებიანი ციხე-გალავნიდან ალაზანის ველს რომ გადახედეს, მოეწონათ და ანეკეს უთქვამს — მართლა აღარ მინდა აქედან წასვლა, ეს რა ლამაზი ყოფილა სამშობლოო.

ნამინდა ნინოს სამონასტრო ეკლესიაში წირვას დაესწრნენ, ილოციეს და სანთლები აანთეს. ვინ იცის ღმერთსა და განგებას რას შესთხოვდნენ ჰოლანდიელი სტუმრები, მაგრამ მათი თვალები მეტყველებდნენ, რომ მშვიდობას ხატრობდნენ დედამიწაზე, რომ მამა-შვილმა ერთმანეთი აღარ დაკარგონ და ხშირ-ხშირად ინახულონ. ჰოლანდიელ შვილს ანეკეს მამამ და ოჯახის სხვა წევრებმა ხორნაბუჯის ციხის თავზე მოუწყვეს გაბოსამშვიდობებელი საღამო. იყო სადღეგრძელოები, გულთბილი საუბარი, ზვეგენა-კოცნა... მერე კი, გაცილებისას ოქროს ბეჭედებით დაასაჩუქრეს, და, რაც მთავარია, ქართული წიგნები „ვეფხის ტყაოსანი“, „შუშანიკის წამება“, ილიას „ანბანთქება“ გაატანეს. ანეკემ ქოთნით ყვავილები წაიღო — დედაჩემის საფლავზე გადავრგავო.

ილია ბეგიაშვილმა კი გული თან გაატანა სიყრმის შვილს ანეკეს და სამაისოდ ტექსელზე შეხვედრა აღუთქვა. ქართველთა აჯანყებაში დახოცილ ძმადნაფიცთა საფლავსაც მოვინახულებო...

ვახტანგ გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შეხვედრა წარსულთან

ანუ ამბავი იმის შესახებ თუ 43 წლის შემდეგ როგორ შეხვდნენ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართველ მეომართა აჯანყების მონაწილე ილია ბეგიაშვილი და მისი შვილი ანეკე

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

23 იანვარი

პირველი პროგრამა. 15.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილისური ჩანახატები“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფშავი“. 17.30 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მირაჟი“. 18.20 — საესტრადო სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებელთა საკავშირო სატელევიზიო კონკურსის „იურმალა-89“-ის რესპუბლიკური ტური. 19.45 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — „სიყვარულს უშენებია“. 20.00 — მოამბე. 20.35— საერთაშორისო დღიური. 21.10 — რუსული რომანსის საღამო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“ (მ.). 22.50 — „ი. ჭავჭავაძე — XIX საუკუნე“ (კითხულობს გ. ხარაბაძე).

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დადგმა „შინაურები ვართ, მოვრიგდებით“. 19.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიძინა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“ (მ.).

სამშაბათი

24 იანვარი

პირველი პროგრამა. 15.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიჭვინთა“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯვრის ულელტეხილი“. 17.20 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.50 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „ესტაფეტა“. 18.25 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“. 19.00 — „მეგობრების ეკრანი“ — ყირიმის ტელევიზიის გადაცემა. 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.30— სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „მიმინო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — „ტრუმფი ამერიკაში“ (საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები აშშ-ში).

მეორე პროგრამა. 17.10 — მხატვრული ფილმი „თანამგზავრი“. 18.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.15 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მოსწავლეთათვის — საზოგადოებათმცოდნეობა. 21.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შეხვედრა გავლისას“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“.

ოთხშაბათი

25 იანვარი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბათუმი“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.00 — საერთაშორისო დღიური (განმეორება). 17.35 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 18.05 — „სიხარული დაგებედოთ“ (განმეორება). 19.05 — მოსწავლეთათვის — „საინტერესო შეკრება“. 19.30 — გაცხადებები. 19.35 — წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე (გადაცემა პირველი). 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის ნახნაგები. 20.50 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში თბილისის „დინამო“ — ვილნიუსის „სტატიბა“. 21.30 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“ (მ.). 22.50 — საქართველოს ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“ მხატვრული ფილმი „კაცი კაპუცინების ბულვარიდან“.

მეორე პროგრამა. 17.10 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“. 18.40 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 20.00 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „გამიგე, დედავ!“. 21.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად“ (მ.).

ხუთშაბათი

26 იანვარი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იმერეთი“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მასწავლებლის საათი — ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოხუმი“. 17.30 — აბიტურიენტთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 18.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სვანეთი ზამთარში“. 18.10 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.40 — პირველი სტუდია — „რაც მამა-პაპას უშენებია“. 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.50 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: თბილისის „დინამო“ — ვილნიუსის „სტატიბა“. 21.30 — „საუნჯე“. 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — „ქართველი მუსიკოსები საზღვარგარეთ“.

მეორე პროგრამა. 17.10 — მხატვრული ფილმი „ბედის ნობათი“. 18.15 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „გამარჯობა, რალფ!“ და „იულკა, ვასკა და ჩვენ“. 19.15 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „დროა შვილმა ცოლი შეირთოს“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.).



რევაზ სანაძირაძის ნახატი.

პარასკევი

27 იანვარი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კიბაურის ველი“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა, თქმული კახეთზე“. 17.10 — განცხადებები. 17.15 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 17.45 —ხალხური შემოქმედება — „თაობიდან თაობის“ გადაცემაში მონაწილეობენ ანსამბლი „ყვარელი“ და ბავშვთა ანსამბლი „დურუჯი“. 18.45 — „შუქნიშანი“. 19.00 — „როცა ადიდდა დუნუთრა“. 19.25 — წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე (გადაცემა მეორე). 19.55 — რეკლამა, რეკლამა, რეკლამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „შენ იდღეგრძელე, ქართული ენავ“! (ქართული სკოლა ჩრდილოეთ ოსეთში). 21.15 — კონცერტი „არაბაზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“ (მ.). 22.50 — საქართველოს სანაოსნო-ცისფერ გზებზე. 21.55 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“ — იტალიური მხატვრული ფილმი „სენიორი რობინზონი“.

მეორე პროგრამა. 17.10 — მხატვრული ფილმი „პოემა ფრთებზე“. I სერია. 18.15 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30— მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „პოემა ფრთებზე“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 „არჩევნების შესახვედრად“ (მ.).

შაბათი

28 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.40 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.10 — ხალხური შემოქმედება — „მღერის ანსამბლი „მერცხალი“. 10.40 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.10 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 12.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.15 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“! 13.00 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა“. 13.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი“. 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — „თვალსაწიერი“ — სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 16.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.30 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — „გლობუსი“. 18.05 — „ხელოვნების ლექტორიუმი“ — ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება. 18.35 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“. 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის ნახნაგები. 20.55 — „მეგობრობის წრეში“ (ქართველ და რუს თეატრის მოღვაწეთა თანამეგობრობა). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედის ირონია ანუ გაამოთ“... I და II სერია.

კვირა

29 იანვარი

პირველი პროგრამა. 10.10 — საესტრადო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „დილა მშვიდობისა!“ 11.00 — გარდაქმნის ნახნაგები — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30— კინოფიშა. 12.00 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 12.55 — საკვირაო გამოფენა — ო. მახარაშვილი. 13.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.00 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — „შეხვედრა კომპოზიტორთან“ — ნიკოლოზ გუდიაშვილი (დაბადების 75 წლისთავის გამო). 15.20 — „ვესტნიკი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.20 — საკვირაო გამოფენა. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბზიფის ხეობა“. 16.45 — რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს. 17.15 — ფეხბურთის მოყვარულთათვის — „ევროპა-88“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. ბრეგვაძის კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო“! (მ.). 22.55 — „ფუტე-89“.

საფეხბურთო ტალღაზე

● **ლენინგრადში** დამთავრდა ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი იუნიორ ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა პირველი ადგილი. ბოლო მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა გფრ-ის ნაკრებთან გამართეს და ფრედ დაამთავრეს — 0:0. ბოლო ტურის სხვა მატჩები ასე დასრულდა: სსრკ II — აშშ 0:0, ჩინეთი — ბელგია 0:1.

● **აშშ-ს ფეხბურთის** ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ნაკრების ახალ მწვრთნელად დანიშნულია 47 წლის ბობ გენსლერი. მანამდე ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა ლოტარ ოსიანდერი. ამერიკელები ახლა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან და ისინი ამ შეჯიბრების ფინალური ტურნირის საგზურისათვის იბრძოლებენ იმ ჯგუფში, სადაც მათთან ერთად იასპრეზებენ კოსტა-რიკის, გვატემალის, სალვადორისა და ტრინიდად-ტობაგოს გუნდები.

● **ფეხბურთის** მოყვარულებს უთუოდ, ახსოვთ 1985 წლის 29 მაისს იტალიის „იუვენტუსსა“ და ინგლისის „ლივერპულს“ შორის უეფას თასის ფინალური მატჩის დროს ბრიუსელის სტადიონზე მომხდარი ტრაგედია. „მაშინ ხომ სტადიონის ტრიბუნებზე ხულიგნების მიერ პროვოკირებული ჩხუბიდან ერთ-ერთ ჩხუბის შედეგად 39 კაცი დაიღუპა (ძირითადად იტალიელი გულშემატკივრები). და აი, ბრიუსელში დასასრულს მიუახლოვდა სასამართლო პროცესი. პროკურორმა მოითხოვა, რომ 15 დამნაშავეს მიესაჯოს სამიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. უახლოეს ორშაბათს სასამართლო გაეცნობა ადვოკატების აზრს.

სატურნირო ორბიტა

● **ფიბაზრული ციბურობა.** დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი და უკვე გათამაშდა მედლების მეორე კომპლექტი. ამჯერადაც ოქროს მედალს საბჭოთა სპორტსმენი დაეუფლა: ვაჟთა ერთეულებს შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ალექსანდრე ფადეევმა და იგი უკვე ევროპის ოთხგზის ჩემპიონია. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა პოლონელმა გეგეგოჟ ფილიპოვსკიმ, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა პეტრე ბარნამ. ამ შეჯიბრების დებიუტანტები მოსკოველი დიმიტრი გროზოვი და ოდესელი ვიაჩესლავ ზაგაროდნიუკი შესაბამისად მეოთხე-მეექვსე ადგილებზე გამოვიდნენ.

● **ქიუდო.** ქალაქ გორში გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი ძიუდოისტ ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ოთხმოცამდე სპორტსმენმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ოქროს მედლებს დაეუფლნენ რუსუდან კუპატაძე (საგარეჯო), ნონა სულარიშვილი (თბილისი), მანანა ჯიღლავაძე (გორი), ია ზღულაძე, ელზა გაბრიელიანი, ლელა ნებიერიძე, ნინო ჩუმაშვილი და ნონა ახუსელიძე (ყველანი — თბილისი). გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის ნაკრები. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გორელები, მესამეზე — ქუთაისელები. ახლა ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტი ქალები სსრ კავშირის ჩემპიონატში ცდიან ძალებს. ეს შეჯიბრება დაიწყება 25 იანვარს ქალაქ მინსკში.

გასწორება

„**კომუნისტის**“ 20 იანვრის ნომერში დაბეჭდილ საქონფორმის მასალაში „გიმართა სასამართლო“, რედაქციის მიზეზით გამოტოვებულია სტრიქონები. ბოლო ორი წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე:

„გაითვალისწინა რა, რომ გ. ქემოკლიძე, ხ. მამალაძე და თ. ორჯონიკიძე წინათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ ყოფილან მიცემული, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გამოთქვეს სურვილი დაუბრუნდნენ შრომითს კოლექტივებს, სასამართლომ გადაუდო მათ განაჩენის აღსრულება ორი წლით. ისინი გაათავისუფლეს სასამართლო სხდომის დარბაზში“.

რედაქციის მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა უზუსტობა, დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ბეჟდლიშვილი.

შაბათი, 21 იანვარი

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“ (მ.). 9.40 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ამანანგ ლენინის სიტყვა“ და „ვლადიმერ ულიანოვი“. 10.55 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.25 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 12.05 — „ათლეტიზმი“. 12.30 — პოეზიის ხუთი წუთი (ლექსები ვ. ი. ლენინზე). 12.35—„ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“ — მხატვრული ფილმი „თანამგზავრი“. 14.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.50 — მოსწავლეთათვის. „კარგად რომ ვიმღეროთ“ (განმეორებით). 16.45 — „სამხრეთის სახღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.30 — კინოჟურნალი. 17.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.45 — უკრავს სახელმწიფო კამერული ორკესტრი (ბრამსის სექსტეტი). 18.25 — პოეზია — ალ. ბეგაშვილი. 18.45 — ახალგაზრდობისათვის — „აჭარული დღიურები“. 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მომღერალი ოჯახები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დოკუმენტური ფილმი „ილიჩის გახსენებისას“ (მ.). 23.35 — კონცერტი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — ჩვენი ბაღი. 10.05 — „უძველესი თქმულებები“. პუშკინის თემა რუსულ ლაქის მინიატურაში. 10.25 — მხატვრული ტელეფილმი „გვიმრის წითელი ფერი“. IV სერია. 11.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 12.00 — მშობლთა დღე შაბათია (პირდაპირი გადმოცემა). 13.30 — „...განსაკუთრებით ამერიკასთან“. დოკუმენტური ფილმი საბჭოთა ხელისუფლების პ